ცხოვრების მიზნად სიმართლე გვქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

ალიონი

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ● №13 (10000) 30 მარტი, 2013 წ. ● ფასი 40 თეთრი

გაზეთი «ალიონი» № 10 000

გზა – რუდუნებით გავლილი



გურიიდან მაცნობეს, გაზეთ „ალიონის" საიუბილეო, მეათიათასე ნომერი მზადდებაო. ჩემო ძვირფასებო, რა გრძელი გზა გაგვლიათ, მართლაც, რამხელა ისტორიაა, ჩემი მშობლიური რაიონისა და ჟურნალისტური სიტყვის სამსახურში რუდუნებით გავლილი. თანამედროვე პრესა–ტელევიზია, ჟურნალისტური საქმიანობა, სამწუხაროდ, უმეტესწილად ჩასაფრებასთან, სიტყვებით ომთან, ლაფის შესხმასთან, პოლიტიკური დამკვეთის ბრმა მსახურებასთან, კონიუქტურულ აზროვნებასთან, ქართული კულტურისა და მწერლობის კორიფეების იგნორირებასთან, გავლენის მქონე მედროვე პოლიტიკანთა პოპულარიზაციასა და მარადიული ღირებულებების უგულებელყოფასთან არის ასოცირებული. თქვენ კი, თქვენი გაზეთის ლამაზ სახელთან პარალელი რომ გავავლოთ, ალიონის ცვარივით სუფთა ხართ. ოღონდ, ბოლომდე გევალებათ სულგაუტეხლად, მედგრად უნდა იდგეთ, რომ რომელიმე ავად მომართულმა პოლიტიკურმა ძალამ ზნეობრივი პრინციპებისათვის გვერდი არ აგაქცევინოთ.

ახლაც თვალწინ მიდგას წყაროზე, ბილიკზე, მთებზე, ფეხშიშველა სოფლელ გოგოზე შეყვარებული ჩემი ბავშვობა. როცა ჩემი ნედლი, ბავშვური, გაურანდავი სტრიქონები გულისფანცქალით მომქონდა გაზეთ „ალიონის რედაქციაში. მას შემდეგ დიდი დრო ჩამოილია, ბევრი წიგნი გამოვეცი, ბევრი ქვეყნის პოეზიის ანთოლოგიებშიც შევიდა ჩემი ნაწარმოებები, მაგრამ არც ერთი ეს სიხარული, იმ პირველი ლექსების გამოქვეყნებით განცდილ სიხარულს გვერდით ვერ დაუდგება.

მახსენდება, ჩემი პირველი რედაქტორი – დარბაისელი ინტელიგენტი, მე-19 საუკუნის პეწი და ხიბლი რომ დაჰკრავდა – ბატონი აფთონ გურგენიძე. შემდეგი რედაქტორი, დახვეწილი და ღრმად ერუდირებული პიროვნება, ბატონი თამაზ სალუქვაძე, მთელი პლეადა გარდაცვლილი და დღეს მოღვაწე შესანიშნავი ჟურნალისტებისა: მამია კილაძე, ელგუჯა შევარდნაძე, ეთერ ქადეიშვილი, ვალიდა ფიფაიშვილი, ლამარა სიმონიშვილი, ზაირა ბილიხოძე, ნინო მდინარაძე, ამჟამინდელი რედაქტორი – თავისი საქმის ერთგული და პროფესიონალი ნუგზარ ასათიანი და სხვ. მთელი კოლექტივი უკლებლივ – რომელიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდა საყვარელ პროფესიულ საქმიანობას.

მრავალთაგან, ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, მაშინ, საბჭოთა კომუნისტური პროპაგანდის ზეობის პერიოდში, როცა სახელმწიფო ცენზურა ისევ ბატონობდა, ამავე გაზეთში გამოვაქვეყნე ლექსი, სადაც ვამბობდი, ამ ფასადურობასა და სიყალბეს დრო სხვანაირად განსჯის და ... „ჩვენ ისტორიის ფსკერზე დავრჩებით"- მეთქი. მაშინდელმა უშიშროების უფროსმა, თუ არ ვცდები ვალერი როსტობაიამ დაიბარა გაზეთის რედაქტორი ბატონი აფთონ გურგენიძე და საყვედური გამოუცხადა. შემდეგ კომუნისტური პარტიის პლენუმზეც გააკრიტიკეს გაზეთი ამ პუბლიკაციისათვის. მახსოვს, არც ბატონ აფთონს, გაზეთის არც ერთ თანამშრომელს მინიშნებითაც კი, მსუბუქი საყვედური არ უთქვამს ჩემთვის, მათ პრობლემები რომ შევუქმენი და უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენე.

ბევრი სხვა რამის გახსენებაც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარია, რომ ეს გაზეთი, როგორც ჩემს ბავშვობაში, ასევე დღესაც ღირსებითა და პროფესიონალიზმით ემსახურება საყვარელ საქმეს.

მეასიათასე ნომრის გამოცემასაც დაგასწროთ უფალმა! მიგულეთ თქვენ გვერდით!

დავით შემოქმედელი

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი.
საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი.
ქართული კულტურის დესპანი
გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი.

გაზეთ „ალიონის"გამოფენა ქ. თბილისში გაიმართება

82 წლის გაზეთი „ალიონი"ერთ-ერთი ძველი გამოცემაა საქართველოში მოქმედ მედიასაშუალებებს შორის.. ამჟამად მისი მე-10 000 ნომერი გამოვიდა. გაზეთის რედაქცია რამდენიმე წელია ცდილობს „ალიონის" არქივის ელექტრონული ვერსიის შექმნას, რომელიც ხელმისაწვდომი გახდებოდა საზოგადოებისათვის. ორი წლის წინ ამ კუთხით ნაბიჯიც გადაიდგა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურის მეშვეობით რედაქციამ სპეციალური სკანერიც შეიძინა, მაგრამ ვერ მოიპოვა ფინანსები ამ კუთხით მუშაობის გასაგრძელებლად.

რედაქციას, რომ იტყვიან, მშველელად მოევლინა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ოზურგეთელი გიორგი კეკელიძე. იგი შეჰპირდა რედაქციას, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა დაეხმარებოდა „ალიონს"ელექტრონული ვერსიის შექმნაში. ამ თემაზე იყო საუბარი საქართველოს კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიასთანაც.

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უკვე დაიწყო მუშაობა „ალიონის"ელექტრონული ვერსიის შესაქმნელად, ხოლო მათივე გადაწყვეტილებით, გაზეთ „ალიონის"მე-10 000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, მაისის დასაწყისში გამოფენა გაიმართება ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

გ. ვოლსკი: „მთავარია პირდაპირი დიალოგისათვის გზების გაჭრა აფხაზებთან და ოსებთან"

▶▶▶ გვ-2

„ეს პროგრამა გასაუმჯობესებელია"

▶▶▶ გვ-3

ინდ.მეწაღმე „ავთანდილ ჯანფაქვაძე"
მადლობა თქვენ ნამსახურში!

გვეწვიეთ, ჩვენ თქვენ სურვილებს რეალობად ვაქცევთ!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ.№15.

(რ)

▶▶▶ გვ-6

გვიხსოვს, ყოველთვის გვიხსოვს, თუ ლაფიანწყალი ლოგიები ბიჭვინთაში

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე +12+18	მზე +14+22	მზე, ღრუბელი +16+25	წვიმა +13+24	მზე, ღრუბელი +14+15	მზე +13+21	წვიმა +10+13
30 მარტი	31 მარტი	1 აპრილი	2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი
შაბათი	კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი

„ამ ეტაპზე მთავარია პირდაპირი დიალოგისათვის გზების გაჭრა აფხაზებთან და ოსებთან“

ნუგზარ ასათიანი

28 მარტს, ქ. ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ კონფერენციაზე „კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება“ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე **გია ვოლსკი** ოზურგეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. მან გაზეთ „ალიონის“ კითხვებსაც უპასუხა:

–საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თემაზე საუბრისას აჩქარება არ ვარგა. გუშინ ჟენევის მოლაპარაკებები დამთავრდა. იქ შუამავლები ევროკავშირი, ეუთო და გაეროს წარმომადგენლობა მუშაობენ უსაფრთხოების გარანტიების დოკუმენტზე, თუმცა ჯერ არ დასრულებულა ამ თემაზე საუბარი. ოსების პოზიციაა იყვნენ ამ მოლაპარაკებებში მხარეები, და მათი პოლიტიკური სტატუსიც იქნეს აღიარებული. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩვენ ვაყალიბებთ სრატეგიულ მიმართულებებს, რომელიც ჩამოყალიბებულია კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში. ეს გულისხმობს საერთაშორისო მოლაპარაკებებში აფხაზების და ოსების მაქსიმალურ ჩართვას, ოღონდ არა პოლიტიკური სტატუსით. რუსეთთან დიალოგის რაღაც ფორმატი შეიქმნა, რომელიც არ გულისხმობს პოლიტიკაზე საუბარს. ჩვენი საზოგადოებასთან შეხვედრის მიზანია, მომდევნო თვის ბოლოს საპარლამენტო კომისიას ჰქონდეს პრინციპულად ჩამოყალიბებული წინადადებები, ხედვები, რომელსაც სახელმწიფო სტრატეგია დაერქმევა.

მინდა ხაზგასმით ვთქვა, 2004 წლიდან 2006 წლის ივლისამდე ოსეთთან ურთიერთობის სტრატეგია მუშაობდა. დასავლეთის ფინანსური და პოლიტიკური ჩართულობა შეუქცევადი იყო და ამაში რუსეთიც მონაწილეობდა. ანუ გარკვეული შეთანხმებები არსებობდა. ჩვენ ჩიხში შეგვიყვანა იმ პოლიტიკამ, რომელიც 2006 წლის ივლისის შემდეგ განავითარა მიხეილ საკაშვილის ხელისუფლებამ. ამ პოლიტიკამ არათუ ჩიხში შეგვიყვანა, არამედ ომამდე მიგვიყვანა. ახლა ამ ჩიხიდან გამოსასვლელად უფრო რთულია სტრატეგიის ჩამოყალიბება, ვიდრე ეს 2004 წელს იყო შესაძლებელი. უფრო მეტსაც გეტყვით, ეუთო, ევროპის უსაფრთხოების ორგანიზაციამ 2005 წლის დეკემბერში, მინისტერიალზე განიხილა ჩვენი სტრატეგია და მხარი დაუჭირა მას. სწორედ ეს თემა ფიგურირებს დღეს საკამათო საკითხებში საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის, ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციების დაახლოება. დღეს ეს თემაა პრიორიტეტული და ამ თემასთან დაკავშირებით ვატარებთ ამ შეხვედრებს, თუ როგორ ხედავს ხალხი, არასამთავრობო ორგანიზაციები ამ მნიშვნელოვან საკითხს. მოკლედ ამ ეტაპზე მთავარია დასავლეთის დაახლოება და პირდაპირი დიალოგისათვის გზების გაჭრა აფხაზებთან და ოსებთან. მესამე მთავარი მიმართულება კი არის საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება, რაღაც პლატფორმის შექმნა, რომელზეც უნდა აშენდეს პოლიტიკური თემები.

–როგორ თანამშრომლობს თქვენთან საპარლამენტო უმცირესობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

–საპარლამენტო უმცირესობას ის პოზიცია აქვს, რაც ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა. ეს არის ის, რომ რუსეთი უნდა დაინგრეს, ჩამოიშალოს, პუტინის ხელისუფლება დემოკრატიული საზოგადოებით უნდა შეიცვალოს, საქართველო ნატოში უნდა გაწევრიანდეს და ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი კონფლიქტების მოგვარებაზე და დეოკუპაციაზე. არ ვეთანხმებით იმიტომ, რომ ათასი კილომეტრიც გვაქვს გასავლელი თუ ათი კილომეტრი, პირველი ნაბიჯები ახლა უნდა გადავდგათ. არსებული მდგომარეობა გაგრძელდება, ჩვენ თუკი კონკრეტულ თემებზე არ დავიწყეთ ლაპარაკი. რისკები ამ თემაზე მინიმალურია, რადგან პირველ რიგში ეროვნული ინტერესები უნდა იყოს დაცული. არსებობს წითელი ხაზები, რომელსაც ჩვენ ვერანაირად ვერ დავარღვევთ– ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

ათავისუფლებენ თუ არა ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით?

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა შეხვედრა მრგვალი მაგიდის გარშემო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ოზურგეთის თვითმმართველობებში განვითარებული პროცესების მონიტორინგის ანგარიშის გამო. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმოდგენლების **მადონა ბერიძისა** და **ვლადიმერ თემიძის** მიერ წარმოდგენილმა ანგარიშმა და სტატისტიკამ. რომელიც პირველი ოქტომბრიდან მოყოლებული პირველი თებერვლის მონაცემებით სამსახურებიდან ადამიანთა გათავისუფლებას შეეხებოდა. ზოგადი სურათი ქვეყნის და კონკრეტული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით. შეხვედრა დაფინანსებულია ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

წარმოდგენილი სტატისტიკა მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გამოთხოვილ ინფორმაციას ეფუძნებოდა.

– „ქართული ოცნების“ აქტივისტებისა და საზოგადოების ნაწილი ახორციელებს კამპანიას, რაც ითვალისწინებს ადამიანთა თანამდებობებიდან გადადგომებსა და გათავისუფლებას სამსახურებიდან. გათავისუფლდა მუნიციპალიტეტის რამდენიმე მაღალჩინოსანი, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები, საყურადღებოა რიგითი მუშების გათავისუფლების ფაქტები, როცა ათავისუფლებენ მეხანძრეებს, მეეზოვეებს. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ყველა ესენი პოლიტიკური ნიშნით წავიდნენ სახლში, მაგრამ საინტერესოა ერთსა და იმავე დღეს დაწერილი განცხადებები და ადამიანთა გათავისუფლების მეორე დღიდანვე იმავე ადგილზე დანიშვნა სხვა კადრებისა.

აღნიშნული საკითხების მიმართ პირველი კომენტარი სახანძრო სამსახურის უფროსმა **ვარდენ რუსიეშვილმა** გააკეთა:

– არავინ წასულა სახლში ზეწოლის შედეგად. ისინი დანიშნულნი იყვნენ წინასაარჩევნოდ. არ იყვნენ პროფესიონალები, არაფერს არ აკეთებდნენ. ასეთი ადამიანები არ გვჭირდებოდა და როცა ხელშეკრულების ვადა გაუთავდათ, გავათავისუფლეთ. კითხვას, რატომ მიიღეთ თავიდანვე, თუკი არ გჭირდებოდათ, რუსიეშვილის ორაზროვანი ღიმილი მოჰყვა, ღიმილს რეპლიკა, მაშინ ყველაფერს ერთი ადამიანი წყვეტდა ოზურგეთში.

იურისტ **კახა ჩავლეშვილის** კითხვას, წინა პერიოდებში თუ არსებობდა მსგავსი სტატისტიკა, პასუხი არ მოჰყოლია.

კომუნალური სამსახურის თემაზე სამსახურის უფროსის **ვოვა სალუქვაძის** განმარტებით, გათავისუფლებული ადამიანებიდან ზოგი საქართველოს სხვა რეგიონში გადავიდა საცხოვრებლად, ზოგი უცხოეთში წავიდა სამუშაოდ, ზოგიც მისთვის უკეთეს სამსახურში მოეწყო.

– ეს ყველაფერი სამეურნეო პროცესებია და როცა სამუშაოდან ერთი ადამიანი მიდის, მის ნაცვლად აგვყავს სხვა, რომელიც ჩვენს მონაცემთა ბაზაში რეზერვებად არიან დაფიქსირებულნი.

დაისვა სოფლის რწმუნებულთა გათავისუფლების საკითხი. საკრებულოს დეპუტატის **ირინა საჯაიას** თქმით, ადამიანები ღიად არ საუბრობენ ზეწოლის ფაქტებზე, თუმცა ეჭვს გათავისუფლების არაერთი ფაქტი იწვევს.

ავთანდილ მექვაბიშვილმა ასეთი ქმედებები სირაქლემას პოზიციად შეაფასა. აღნიშნა, რომ გათავისუფლება მხოლოდ კანონდარღვევების ფაქტების გამო უნდა ხდებოდეს და უნდა დაფიქსირდეს.

ადვოკატ **გოჩა გორდელაძის** კითხვა – რატომ უკვირთ ნაციონალებს ვიღაცაების სახლში გაშვება, საკრებულოს დეპუტატმა **ლელა ნაცვალაძემ** განავრცო. სოფლების რწმუნებულები სიებით იდგნენ ოპოზიციის აქციებზე და მათი სოფლის მცხოვრებლებს აფიქსირებდნენ, რათა მომხდარიყო ამ ადამიანთა უშიშროებაში დაბარებები. ხოლო ამჟამად გათავისუფლებული ადამიანები, წინასაარჩევნოდ დაინიშნენ სამსახურებში, რათა არჩევნებზე გარკვეული რაოდენობის ხმები მიეტანათ. მათი ხელფასების გამო შეიქმნა პრობლემები ბიუჯეტში, რაც თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული.

ზეწოლის ფაქტების კლასიფიკაცია მოითხოვა **კახა ჩავლეშვილმა:** – საინტერესოა, ზეწოლის ფაქტები ხდება სახელმწიფო მანქანების, თუ კონკრეტული პირების მხრიდან.

შეხვედრაზე გაჟღერდა ტერმინი „მეოცნებე ნაციონალი“, რასაც კულუარული შეფასებებიც მოჰყვა.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე სტიქიის შედეგად მიღებული ზარალის აღმკვეთი ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო თანხების მობილიზებაზე ისაუბრეს.

2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ საფინანსო სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ბერიძემ ისაუბრა, რაც შეეხებოდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად საჭირო თანხების მობილიზაციისათვის ბიუჯეტში არსებული რეზერვების შემცირებას. კერძოდ: 1. სარეზერვო ფონდი 150 000 ლარით; 2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა 35 000 ლარი; 3.კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები) 30 000 ლარი; 4. კულტურა, რელიგია და სხვა ახალგაზრდული ღონისძიებები 85 000 ლარი. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, სტიქიური უბედურებების შედეგად, დაზარალებულთა დახმარების პროგრამა და დახმარებები 150 000 ლარით.

გამოთავისუფლებული თანხა 450 000 ლარი გადატანილი იქნა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

წარმოდგენილ სტატისტიკას არ დაეთანხმა დეპუტატი ლელა ნაცვალაძე. – იმისთვის არსებობს სარეზერვო ფონდი, რომ ამ საჭიროებებისთვის დაიხარჯოს თანხა. თუმცა ვიცი ისიც, რომ ხდება განსაკუთრებულად შეჭირვებულთა დახმარება ამ ფონდიდან. ცუდია, რომ ადამიანები დაზარალდნენ, მაგრამ რა ვუთხრათ იმათ, რომლებიც წლობით ელოდებიან დახმარებას და არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. იგივე მოსაზრება დაფიქსირა დეპუტატმა შალვა თავდიშელმა. მან დასახელა სოფ. ძიმითის მკვიდრი ნუგზარ ხინთიბიძე, რომელსაც მეწყერმა დაუნგრია სახლი და ახალი თავშესაფარიც დაეწვა. დეპუტატ ავთანდილ ნემსაძის კითხვა კომპენსაციის ფორმას შეეხებოდა. კერძოდ, მოსახლეობას დაეხმარებიან საშენი მასალით და ხელოსნის საფასურის გადახდით.დაისვა კითხვა, რითი დაეხმარებიან იმ ადამიანებს, რომელთა დახმარებას სწორედ შემცირებული თანხით იყო გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძის განმარტებით, ეს მითითება მათ მიიღეს ფინანსთა სამინისტროდან, და დასახელებულ თანხას (150 000 ლარი) მათ ცენტრალური ბიუჯეტიდან მალე დაუბრუნებენ. მისივე განმარტებით შესრულებული სამუშაოების ჩაბარება მოხდება ექსპერტიზის ბიუროს დადებითი დასკვნის საფუძველზე

მიხეილ გოგოტიშვილი საკრებულოს დაუბრუნდა

28 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ნაციონალური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მიხეილ გოგოტიშვილი ადგილმონაცვლეობით საკრებულოს დაუბრუნდა. დეპუტატმა პეტრე სალუქვაძემ სხვა სამსახურში გადასვლის გამო დატოვა საკრებულო. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კი ნაციონალური პარტიის სიაში მომდევნო მიხეილ გოგოტიშვილი გახლდათ.

შეგახსენებთ, მიხეილ გოგოტიშვილი ჯერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, შემდეგ მოადგილე იყო. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ბოლო პერიოდამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ მუშაობდა.

ქალი და საკუთრების უფლება

მარიკა კოძრევი

26 მარტს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება და დისკუსია თემაზე ქალთა საკუთრების უფლების რეალიზაცია საქართველოში. ფილმში ასახულია რეალური ისტორიები, რომელნიც მოგვითხრობენ, თუ რამდენად იცან და იყენებენ ქალები საკუთარ უფლებას საკუთრებაზე. ფილმში ჩანდა, რომ კანონით ქალები და მამაკაცები საკუთრების ფლობაზე თანაბარი უფლებით სარგებლობენ. თუმცა, მეტწილად საკუთრება მამაკაცებზეა დარეგისტრირებული და ქალები იშვიათად აცნობიერებენ, რომ ოჯახის მამრობითი წევრების მსგავსად საკუთრების მემკვიდრეობით მიღების და ფლობის თანაბარი უფლება აქვთ. შეხვედრისას დაისვა კითხვა დამსწრეთაგან რამდენი ქალი ფლობდა საკუთრებას. პასუხი ფილმის შინაარსს დაემთხვა, აღმოჩნდა რომ დამსწრეთა უმეტესი ნაწილი საკუთრებას არ ფლობდა. ღონისძიების ინიციატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ (ხელ. ქეთევან ხიდაშელი)

ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია დამსწრე საზოგადოებამ გამოთქვა საკუთარი აზრი საკითხის შესახებ. ისაუბრეს იმ პობლემებზე რომლებიც ქალს უფლებების არცოდნის ან გამოუყენებლობის შემთხვევაში ექმნება. უფლებების გამოუყენებლობა კი ქართული მენტალობით ახსნეს. ოზურგეთის სინამდვილიდან მოიყვანეს მაგალითები, როცა ქალი თავშესაფრის გარეშე დარჩა. აღმოჩნდა, რომ მსგავსი შემთხვევები არცთუ იშვიათია.

ღონისძიება ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე კამპანიის ფარგლებში, რომელიც ორგანიზებულია იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის" მიერ ორგანიზაცია „ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს მხარდაჭერით ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების ფონდის დაფინანსებით. კამპანიის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა ქალთა საკუთრების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

„ეს პროგრამა გასაუმჯობესებელია“

ნუგზარ ასათიანი

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან ჟურნალისტების შეხვედრაზე, გაზეთ „ალიონის“ მიერ დასმულ შეკითხვას ჯანდაცვის პრობლემებზე მკითხველთა გამოხმაურება მოჰყვა. ადამიანები თავიანთ გულისტკივილს გამოხატავდნენ.

ამონარიდი ერთ-ერთი წერილიდან: **„საჭირო გახდა სასწრაფოს გამოძახება. 112-თან დაკავშირება არ მოხერხდა, ამიტომ მივედით საავადმყოფოში და დახმარება ვთხოვეთ. მედპერსონალის პასუხი უარყოფითი იყო, –არ გვაქვს უფლება კერძო ავტომანქანით ავადმყოფს სახლში მივაკითხოთო. სასწრაფო მანქანა გამოძახებაზეა და დაელოდეთო. 20 წუთის შემდეგ დაგვირეკეს, რომ ავადმყოფი გარდაიცვალა. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავადმყოფის გარდაცვალებიდან 30 წუთის შემდეგ მოვიდა. სასწრაფო დახმარების 4 ავტომანქანიდან მხოლოდ ერთი იყო მწყობრში. შემდეგ გავიგეთ, რომ ის ავტომანქანაც გაუმართაობის გამო იმავე ღამით ავარიაში მოხდა.“**(ხელს აწერს 10 ადამიანი).

„შაბათს, 16 მარტს, დვაბზუში, შვილის საფლავის მონახულების შემდეგ თ. ... ცუდად შეიქნა. დაურეკეს სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს. მანქანა არ ჰყავდათ ადგილზე და გვითხრეს, ვერ მოვალთო. მოვახერხეთ ექიმის მოყვანა და ადამიანის გადარჩენა“...

ამ და სხვა ფაქტების გამო „მედალფას“ კლინიკაში მივედით, სადაც მე-4 სართულზე ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო სამსახურია განთავსებული. მისაღებში ათეულობით ადამიანი ელოდა თავის რიგს. ეზოში, სადაც საწრაფოს მძღოლების ფლიგელია, მხოლოდ დაზიანებული „გაზელი“ იდგა. ერთ-ერთი თვალი ბეტონის ბლოკზეა შემდგარი. დანარჩენი მანქანები გამოძახებაზეა. მე-4 სართულზე სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის უფროსი, ექიმი ნანა გოლიაძე ვნახეთ.

ნანა გოლიაძე:–2011 წლის სექტემბერში გაუქმდა შპს „ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო სამსახური“ და ერთ-ერთი განყოფილების სახით შევედით შპს „მედალფაში.“ ჩვენ ამის შემდეგ ფინანსებთან შეხება არ გაქვს. შევინარჩუნეთ თანამშრომლების სრული შემადგენლობა ადრინდელი ხელფასებით. თბილისში სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის თანმშრომლები გაიფიცნენ. არ მიმაჩნია სწორად...

–მაგრამ, მანქანების გაუმართაობის გამო დროულად ვერ შესძლო თქვენმა სამსახურმა გამოძახებაზე გასვლა და ადამიანი გარდაიცვალა...

–თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩვენ გვსიამოვნებს ასეთი ფაქტი?

– რა ზომები მიიღეთ პრობლემის მოსაგვარებლად?

–დირექტორატს მივმართე. კი ახდენენ რეაგირებას და არემონტებენ მანქანებს მაგრამ...

–იყო შემთხვევა, სასწრაფოს ავტომანქანა გასული იყო გამოძახებაზე, კერძო ავტომობილს სამედიცინო ბრიგადამ უარი უთხრა გაყოლაზე...

–სასწრაფოს ექიმი უნდა გაყვეს მის ბრიგადას, სასწრაფოს ავტომანქანას და არა ვიღაცის „ჟიგულს.“ ამას წინათ იყო გამოძახება სოფ. მაკვანეთიდან. მანქანა ადგილზე არ გვყავდა. კერძო მანქანას გაჰყვა ექიმი თ.გ. და ექთანი. მძღოლს გზაში დაურეკეს დ.კ. გარდაიცვალაო. ჯერ მძღოლი რა დღეში ჩავარდა და როგორ მიჰყავდა მანქანა. შემდეგ... ექიმთა ბრიგადები უარს ამბობენ კერძო ავტომანქანების გაყოლაზე...

–რას ფიქრობთ, ვის უნდა ეკუთვნოდეს სასწრაფო-სამედიცინო სამსახური?

–ამჟამად ჩვენი სამსახური კერძო პირის ხელშია.

– თუ გადაგყავთ ავადმყოფი იმ კლინიკაში, რომელსაც ისინი მოითხოვენ?

–მაგალითად სად?

–ვთქვათ ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრში?

–ჩვენ ამ საავადმყოფოს ნაწილი ვართ და შეასაბამისად, „მედალფას“ კლინიკაში მოგვყავს. თუ მშობელი დაჟინებით მოითხოვს, მაშინ მივიყვანთ დასახელებულ კლინიკაში. ისე, ვიცით, რომ როცა „მედალფას“ კლინიკაში პაციენტი მოგვყავს, იქ დაგვხვდება მორიგე ექიმი, სითბო, არის ლაბორატორია და ა.შ. სხვაგან რა მდგომარეობაა, ინფორმაციას არ ვფლობთ.

–ამ თემაზე, არის „მედალფას“ ხელმძღვანელების მოთხოვნა?

–კატეგორიული მოთხოვნა არ არის, მაგრამ ზოგადად ვიცით, რომ ამჟამად „მედალფას“ ნაწილი ვართ და მათი ინტერესი უნდა დავიცვათ.

–„მედალფას“ კლინიკაში სამედიცინო პერსონალის ნაწილი ანაზღაურების სიმცირეს უჩივიან. თქვენთან რა მდგომარეობაა, რა ანაზღაურება გაქვთ?

–ჩვენ არ მოგვკლებია წინა ხელფასი. ექიმის ანაზღაურება 350, ხოლო ექთანის–200 ლარია.

ჩვენ ეს თემა შპს „მედალფას“ გენერალურ დირექტორთან, **ლევან ანთაძესთან** გავაგრძელეთ:

–ბატონო ლევან, თქვენთან მიერთებამდე შპს „ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო სამსახური“ დამოუკიდებელი შპს იყო, ამჟამად თქვენს დაქვემდებარებაშია. ვინაა პასუხისმგებელი მათ დაფინანსებაზე და იმაზე, ავტომანქანები ჰყავდეთ მწყობრში?

–ესენი სახელმწიფო შპს იყვნენ. თავიდან არ იყო გათვალისწინებული მათი ჩვენთან შეერთება. თავიდან ხელშეკრულებით მხოლოდ საავადმყოფოს აშენება იყო გათვალისწინებული. 2011 წლის ოქტომბერში ჯანდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ვალდებულებები გადასცემოდა შპს „მედალფას.“ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენთან არიან, მუშაობენ და ისინი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების პროგრამით ფინანსდებიან. ის სისტემა, რაც ქვეყანაში დაიგეგმა 2005 წლიდან დღეს არაეფექტურია. იმ დროისათვის სხვა სამედიცინო მომსახურება არ იყო ხელმისაწვდომი და ამის გამო გაკეთდა. დღეს იგი საჭიროებს გადახედვას. ჩვენ ამის შესახებ შეხვედრა გვქონდა ჯანდაცვის მინისტრთან და იგი ფიქრობს, რომ შეიცვალოს პროგრამის დიზაინი, ისე შესაძლებელია სხვა ფორმით ჩამოყალიბდეს. დღეს მთელი საქართველოს მასშტაბით სასწრაფო-სამედიცინო სამსახურში ანალოგიური სიტუაციაა.

–აქვს თუ არა „მედალფას“ ვალდებულება სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტომანქანები იყოს მწყობრში?

–რა თქმა უნდა აქვს და აკეთებს მაქსიმალურად, რაც შესაძლებელია. ჩვენ ამ მანქანების გაყიდვა არ შეგვიძლია 7 წლის განმავლობაში და არც განკარგვა. ესენი დაახლოებით 7-8 წლის ავტომანქანებია და თითქმის ამორტიზებულია.

–თუ ამორტიზებულია, ვინ უნდა შეცვალოს?

–სახელმწიფო პროგრამა ჩვენ ამის ვალდებულებას არ გვაკისრებს. ეს მანქანები მაშინაც ამორტიზებული იყო, როცა გადმოგვეცა „მედალფას“ მართვაში. ახლა რა თქმა უნდა კიდევ უფრო ამორტიზებულია და ხშირად გამოდიან მწყობრიდან. რამდენიმე მანქანა, მათ შორის „ჰიუნდაის“ ფირმის მანქანა კაპიტალურად შევაკეთეთ.

–წლების მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონები უძღვებოდნენ ამ სამსახურს, არ ყოფილა შემთხვევა, სასწრაფო ერთი მანქანის ამარა დარჩენილიყოს. ასე იყო თქვენთან შემოერთებამდე. რა შეიცვალა?

–ეს იყო და არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სრულდება, როგორც ადრე სრულდებოდა. ადრე ამ ნანქანების რემონტზე ამდენი თანხა არ დაუხარჯავთ (?!). მარტო „ჰიუნდაის“ რემონტზეა დახარჯული 4 თუ 5 ათასი ლარი. მანქანები „მედალფაზე“ გადმოცემით არ გაფუჭებულა.

–ჩვენ იმიტომ გისვამთ შეკითხვებს, რომ ოზურგეთის საზოგადოება შეწუხებულია.

–მესმის, რომ შეწუხებულია, მაგრამ ამ სამსახურს მთელი საქართველოს მასშტაბით აქვს პრობლემები. ეს იცის ჯანდაცვის სამინისტრომ, ვაღიარებთ ჩვენ, რომ გვაქვს ამორტიზებული ავტომანქანები. გასაგებია, ორი წლის წინ ეს ავტომანქანები უფრო ახალი იყო, ვიდრე დღეს, მაგრამ ეს თქვენ „მედალფას“ დაუკავშიროთ, არასწორია. დღესაც მიმდინარეობს ერთ-ერთი ავტომანქანის რემონტი.

–ამდენ შეკეთებას და ხარჯებს ახალი რომ შემოგეყვანათ, არ სჯობდა?

–ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, როგორ ჩამოყალიბდება სასწრაფო-სამედიცინო სამსახური. ამაზე ქ. ლანჩხუთში მინისტრთან გვქონდა საუბარი. მე ამ დარგში საკმაოდ დიდი გამოცდილება გამაჩნია, თუ ეს არ ჩამოყალიბდა, რას ვაკეთებთ, უნდა გაირკვეს. შეიძლება ჩვენთან დარჩეს, შეიძლება გადაეცეს მუნიციპალიტეტს, შეიძლება ყველა გამოძახება არ იყოს უფასო. ამის მაგალითს გეტყვით. ჩვენ ვაწარმოებთ სტატისტიკას. ყოველი მე-6 გამოძახება მთავრდება ჰოსპიტალიზაციით. მთელს მსოფლიოში ვერ ნახავთ, სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადას იძახებდნენ წნევის აწევაზე, სიცხის დასაწევად და ა.შ. მეც ვმუშაობდი სასწრაფო-სამედიცინო სამსახურში. სანიტრობიდან დავიწყე და აჭარის ჯანდაცვის მინისტრობით დავამთავრე. ეს საკითხები კარგად ვიცი. გამოძახებების ნახევარზე მეტი არის ფუჭი გამოძახება. ამას უბნის ექიმი ფარავს, დღეს მით უმეტეს, საყოველთაო დაზღვევა ეხება ყველას. გადაუდებელ დახმარებაზე, ამბულატორიულ მომსახურეობაზე, ექიმთან ვიზიტზე, პაციენტს გადახდა არ უწევს. სწორედ, ამ არასწორმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რა მდგომარეობაშიცაა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახური ქვეყანაში. ეს არის ამ პრობლემის არსი. შეიძლება ასეთ გამოძახებაზე გარკვეული ფასიც შემოიღონ. ვიცი, ინტესიური მუშაობა მიდის ამ სამსახურის პრობლემებზე ჯანდაცვის სამინისტროში, მაგრამ კონკრეტულად რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, რა დიზაინით იქნება ეს პროგრამა –არა, ფაქტია, რომ რომ ეს პროგრამა გასაუმჯობესებელია.

–როგორ ფიქრობთ, რამდენად ასახავს მათი ხელფასები მათ შრომას?

–ამ სამსახურის თანამშრომელთა ხელფასები სახელმწიფო პროგრამითაა გათვალისწინებული. ამ მხრივ გამონაკლისი ქ. თბილისის და ქ. ბათუმის მერიაა. ისინი აფინანსებენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურს. გასაგებია, ეს ხელფასი არ არის ადეკვატური მათი შრომის.

–თქვენს კლინიკაში როგორი ხელფასებია?

–ჩვენს კლინიკაში საკმაოდ ნორმალური ხელფასებია. თუმცა იყო გარკვეული უკმაყოფილებები. აქ უნდა მოხდეს ბალანსი. დაწესებულება არ უნდა წავიდეს გაკოტრებისკენ. სამედიცინო პერსონალიც უნდა იყოს კმაყოფილი. სწორედ ამ სისტემისკენ მივდივართ. მაგ. ექთანის ხელფასი ორი ნაწილისაგან შედგება. არის ფიქსირებული ნაწილი და გამომუშავებითი ნაწილი. ეს შემოვიდა 2013 წლიდან. მოჭრითი ნაწილით მორიგეობაში 20 ლარს უხდიან, ამას ემატება გამომუშავება.

–ბოლო პერიოდში იყო გარდაცვალების ფაქტები? (ამ კითხვას „მედალფას“ კლინიკის დირექტორმა დავით მდინარაძემ გასცა პასუხი).

–დაბა ნასაკირალიდან გვამი მოიტანეს. ხოლო ნ.მ-ს შემთხვევაში, პაციენტი 4 დღის განმავლობაში სახლში მკურნალობდა, ჩვენთან უშედეგო მკურნალობის შემდეგ გადავიყვანეთ უფრო დიდ კლინიკაში. როგორც ვიცით დადასტურდა „ღორის გრიპი“ და გარდაიცვალა. გასაგებია, ეს ტრაგედიაა, მაგრამ ასეთი რამ სამწუხაროდ ხდება.

ლევან ანთაძე:–„ღორის გრიპს“ ვეძახით, მაგრამ რეალურად ეს ვირუსი ცირკულირებს მთელ ქვეყანაში. აწყობილია სისტემა ისე, რომ სამი რეფელარული საავადმყოფოა თბილისში, ქუთაისსი და ბათუმში. როცა მდგომარეობა კრიტიკულია, ასეთი პაციენტების რეფელარულ საავადმყოფოში გადაყვანა ხდება.

P.S ამ წერილის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების დღეს, 21 მარტს, რედაქციაში დაგვირეკეს. ოზურგეთელი მარი ა-ძე მაღალი სიცხით „მედალფას“ კლინიკაში გადაეყვანათ, ექიმები „ღორის გრიპს“ ეჭვობდნენ და მარის ახლობლები გვთხოვდნენ მედიკამენტ „ტამიფლუს“ შოვნაში დავხმარებოდით. აღნიშნული მედიკამენტი ერთ-ერთ აფთიაქში შევიძინეთ. მარი ა-ძე რეანიმობილით იმავე დღესვე გადაიყვანეს ქ. თბილისში. მისი მდგომარეობა კრიტიკული იყო. მისი მდგომარეობა ამჟამადაც მძიმეა

აფთონ გურგენიძის ნათელ ხსოვნას!

მოწიწებით წარმოსათქმელი



აფთონ ბატონო! –ასე მოგმართავდით 25 წლის მანძილზე. ამ მომართვაში იყო მოკრძალებაც, მოწიწებაც, პატივისცემაც. ეს არ იყო მიმართვა მბრძანებლისადმი. აქ იკვეთებოდა უფროს-უმცროსობაც, მამაშვილური მადლიც!

თქვენ, მე, ვხოვრება მასწავლეთ. მასწავლეთ მართალი გზით სიარული.

არადა, როგორ უცნაურად მოვედი თქვენამდე.

სოფელ მელექედურში ვცხოვრობდი მშობლებთან, დასთან და ძმასთან ერთად. ვსწავლობდი, ვმუშაობდი და ვოცნებობდი გავმხდარიყავი იურისტი.

მაშინ მხოლოდ ერთი გაზეთი ვიცოდი: „ლენინის დროშა.“ არ ვიცი, რამ გადამაწყვეტინა, წერილი გამომეგზავნა. ვისზე და რაზე უნდა დამეწერა? – ბევრი კარგი მესმოდა ექიმ ნესტორ თოიძის, ქორეოგრაფ გიორგი სალუქვაძის, მსახიობ ილია არობელიძის (თავადაც ვნახე სპექტაკლში „დაჭრილი არწივი“) შესახებ. და, ასე, სხვათა ნაამბობით, ფანტაზიით დავწერე წერილი და რედაქციაში გამოვაგზავნე.

ველოდი რომ დაიბეჭდება „ჩემი ქალაქის ერთი დღე“–გაზეთში? არა და არა! მაგრამ მოხდა საოცრება – ჩემს წერილს მესამე გვერდი ეკავა, სურათებით.

თუმცა ეს დასაწყისი იყო! მთხოვეს რედაქციაში მივსულიყავი და...ჯერ შტატგარეშე კორესპონდენტი ვიყავი, 1966 წლის 6 მარტიდან კი, კორექტორად დამნიშნეთ!

რა საოცარი წლები იყო! ვის არ შემახვედრა, ვინ არ გამაცნო თქვენთან მუშაობამ. სპეციალობით ისტორიკოსი ჟურნალისტი გავხდი!

რამდენი თანადგომა მახსოვს თქენგან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი ოჯახი, ლამის უსამართლობის მსხვერპლად იქცა!

თქვენ იყავით ჩემი კრიტიკული წერილების დამცველი რაიკომის ბიუროსა და აღმასკომის სხდომებზე. თქვენ მაძლევდით საშუალებას შევხვედროდი რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებს, მემოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

თქვენეული შორსმხედველი დავალებით რამდენჯერმე შევხვდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს!

ჩემი სტატიებისთვის გემეტებოდათ გაზეთის გვერდები, არასდროს შეგიმცირებიათ წერილები.

რამდენ რამეს მაძლევდა ჩემს წერილებზე წარწერილი თქვენი სიტყვები: „წავიკითხე ორჯერ, წავიკითხე სამჯერ...“

...ყველაფერი გუშინდელობაში დარჩა, მაგრამ დრომ ფერები ვერ გაახუნა. ხშირად მესმის თქვენეული „ეთერ-ქალო!“ „ალბათ, ამ ლამაზი ურთიერთობის მადლმა დამაწერინა წიგნი „ჩვენს ხსოვნაში ჩარჩენილები,“–გარდაცვლილ ჟურნალისტებზე.

აფთონ ბატონო! –ტკივილად წახვედით და სიყვარულად დარჩით...!

იცით, რამდენჯერ ვინატრე თქვენთან საუბარი?

იყო ასეც –თქვენმა საფლავმა დამიძახა. დასცდა ეს სურვილი ჩემს ბაგეებს და იგი ჩემმა უმცროსმა მეგობარმა თენგიზ ზაქარიაძემ ამიხდინა.

რა დამავიწყებს 2012წლის 24 სექტემბერს. თენგომ დილითვე მომაკითხა მე და ნუგზარს. ვარდების დიდი თაიგული იყიდა და...ბუკისციხეში წამოვედით...

ვიდექით თქვენს საფლავთან საფლავთან თენგო, ნუგზარ ასათიანი და მე.

რამდენი რამე გითხარით! ხო, სიჩუმით გითხარით! როგორ ჩუმად მისმენდით!

სახლში დაბრუნებულმა ასეთი ჩანაწერი გავაკეთე: „განსაკუთრებული სიჩუმე, რომელიც სიმშვიდით და სიმყუდროვით გავსებს –სასაფლაოს სიჩუმეც... ეს ის გულშიჩამწვდომი სიჩუმეა, უსიტყვოდ რომ მეტყველებს!“

ეს არქიმანდრიტ რაფაელის შეგონებაა, ასე რომ ესადაგება სასაფლაოს მწვავე სიმშვიდეს.

თვეებია გასული ჩვენი ჩუმი საუბრიდან.

ახლა ოზურგეთიდან მინდა სიმშვიდე დავარღვიო და ამით ტკივილით თანაგიგრძნოთ.

ადრე, თქვენ და თქვენს დიდებულ ქალბატონ ვალიას მოულოდნელად მოგეახლათ თქვენი საყვარელი შვილი რობერტი. ახლახან კი თქვენმა ქალიშვილმა მაიამ სააქაო დატოვა და საიქიოში, თქვენთან დაივანა.

უკვე ერთმანეთში აირია ტირილი და სიცილი, აღარც ვიცი თქვენ ხარობთ თუ...

ჩვენ მოგონებების ჩრდილში ვეხვევით და ახლა, თქვენს სახელთან ერთად, მოწიწებით წარმოვთქვამ ჩვენი რედაქციის იმ მუშაკთა სახელებს, რომლებიც ხსოვნის მადლში დარჩნენ: ვასილ მექვაბიშვილი, მამია კილაძე, ელგუჯა შევარდნაძე, ნუგზარ ქინქლაძე, გიზო ჭელიძე, ვაჟა ჭანუყვაძე, ვალიდა ფიფაიშვილი, ირინა ცხომელიძე, დავით გიორგაძე...

არ მინდოდა ასეთი ტკივილიანი საუბარი. დღეს ხომ ჩვენი გაზეთისათვის განსაკუთრებული დღეა. გაზეთი რომელსაც თქვენ 25 წელი რედაქტორობდით, თავისებური იუბილარია –გამოვიდა გაზეთის 10 000 ნომერი.

ესეც ხომ თქვენი დიდი რედაქტორობის, შემოქმედებითი ნიჭის და უნარის შედეგია!

თქვენ ჩემთვის, თქვენი ორგანიზატორული, ყველასაგან განსხვავებული ხელმძღვანელობით, ადამიანობით, განუმეორებელი პიროვნება ბრძანდებით!

თქვენ თანაგრძნობის, თანადგომის დიდი უნარი შეგწევდათ!

ამიტომ დარჩით ჩემში დიდ პიროვნებად, ამიტომ წარმოვთქვამ თქვენს სახელს მოწიწებით:

ბატონო აფთონ!

ეთერ ქადეიშვილი.

> „მკვლელები ვერ ვლიან მკვლელები, ცხონამ ცოცხლები მათ ცხოველებს მოწ�იებით წარმოთქვამენ.“
>
> ანდრე მორუა.

ოზურგეთის სტამბის ისტორიიდან

(ჟურნალისტების ვაჟა ჭანუყვაძის და მამია კილაძის ნაშრომის „ გაზეთი „ლენინის დროშა“–50“ მიხედვით. „ჟურნალისტიკის საკითხები“ 7-8 ტ. თბილისი 1981 წ.)

ჩვენმა თანამემამულეებმა ალფესი მიქელაშვილმა და კონსტანტინე (კოწია) თავართქილაძემ, რომლებსაც უკვე ჰქონდათ თბილისის და სხვა ქალაქების სტამბებში მუშაობისა და საგამომცემლო საქმიანობის გამოცდილება, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს მომწიფებულად ჩათვალეს საკითხი ოზურგეთში საჯარო ბიბლიოთეკისა და სტამბის გახსნის შესახებ; მათ ამ განზრახვას მოწონებით შეხვდა გაზეთი „ივერია“ 1889 წლის 21 სექტემბრის ნომერში.

1889 წლის დამლევს ა. მიქელაშვილის სახელზე გაცემული ნებართვით ქ. ოზურგეთში, იმ ადგილას, სადაც ახლა სკვერია გურიისა და აპოლონ წულაძის ქუჩებს შორის, გაიხსნა რიგით მეორე წიგნის მაღაზია და სტამბა, რომლებშიც დამონტაჟდა თბილისში კ. თავართქილაძის მიერ საჯარო ვაჭრობით შესყიდული მეფე ერეკლე მეორისეული საბეჭდი მანქანა.

სტამბასა და წიგნის მაღაზიას იურიდიულად ერთი პატრონი ჰყავდა –ა. მიქელაშვილი, ხოლო კ.თავართქილაძეს ნდობას არ უცხადებდნენ მმართველობისთვის არაკეთილსაიმედოსა და მეფის საწინააღმდეგო აგიტაციაში შენიშნულსა და წიგნების გავრცელებისათვის რეპრესირებულს.

მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით, ამ თავკაცთა მიერ, მოწვეული იქნა სასტამბო საქმის დიდოსტატი დიომიდე კილაძე. პირველი წიგნი, რომელიც დაიბეჭდა ოზურგეთის სტამბაში იყო ვ. ჰიუგოს მოთხრობა „ძმა-ძმის მტერი.“

1890 წლის 21 იანვრის ნომერში გაზეთი „თეატრი“ წერდა: „თბილისის გარეშე სხვა ჩვენს ქალაქებშიც დააარსეს სტამბები და ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ამ საქმეში სხვა მხარის ქართველებთან შედარებით გურულებმა იჩინეს თავი და მეტის ბეჯითობით და ხალისით შეუდგნენ ამ სასარგებლო წმინდა საქმის შესრულებას.“

1890 წლის ზაფხულში თავადმა გრიგოლ გურიელმა ცალცალკე წიგნებად გამოსცა „სიბრძნე სოლომონ მეფისა“ და „წიგნი ეკლესიასტე მეფე სოლომონ ბრძენისა.“

1890 წლის 24 ოქტომბერს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, როგორც იქნა ხელი მოაწერა კ. თავართქილაძისათვის ოზურგეთში სტამბის, წიგნის მაღაზიისა და ბიბლიოთეკის გამართვადაარსების უფლებაზე . ნებართვა დაუყოვნებლივ შევიდა ძალაში. არაოფიციალური ამხანაგობა გაფორმებული იქნა და გარდაიქმნა მიქელაშვილი-თავართქილაძის სტამბისა და წიგნის მაღაზიის ამხანაგობად. მალე სხვა წიგნებთან ერთად პირველად ოზურგეთის სტამბაში დაიბეჭდა ცალკე წიგნად ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ეგ. ნინოშვილის „რამდენიმე მოთხრობა.“

როგორ გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა, დაიწყო ახალი ხანა ოზურგეთის წინმსვლელობისა და გონების განვითარებისა, შეიქმნა საუკეთესო მოსამზადებელი სკოლა გურიის ახალგაზრდობისათვის.

ა. მიქელაშვილისა და კ. თავართქილაძის მიერ 1889-91 წლებში გამოცემული წიგნებით, ამ წიგნების პარალელურად დაბეჭდილი სხვადასხვა წერილებით, ალეგორიების აფიშებით, საქველმოქმედო მოწოდებებითა და სხვადასხვა სახის სასტამბო პროდუქციის გამოშვებით მომზადდა ერთგვარი საფუძველი უფრო დიდი და სერიოზული გამოცემისათვის შესაჭიდებლად. ეს გახლდათ შ. რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი.“ ოზურგეთში, პრიმიტიული საბეჭდი მანქანის იმედით, საგამომცემლო საქმის დებიუტშივე, 1891 წელს გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი.“ იგი 2000 ტირაჟით დაიბეჭდა და 30 კაპიკი ღირდა. წიგნი მაშინვე დაუტაციათ და მისი შეძენის მსურველთა დასაკმაყოფილებლად 1892 წელს წიგნი მეორედ გამოსცა კ. თავართქილაძემ 4500 ტირაჟით. აღნიშნული გამოცემაც, რომლის კიდევ ხელახალი დაბეჭდვა დარჩა საჭირო, დიდი მოთხოვნილების გამო, მაღალი გემოვნებითა და გულისყურით იყო შესრულებული.

წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ თუმცა ამ სამი წლის განმავლობაში ეს წიგნი ორ-სამჯერ დაიბეჭდა, მაგრამ გასაყიდად გამომცემლებს არცერთი ეგზემპლარი არ მოეპოვებათ.“

აღსანიშნავია, რომ კ.თავართქილაძემ შემოიღო აგრეთვე იაფი „საყმაწვილო ბიბლიოთეკა,“ რომლის სერიითაც გამოსცა „სამი არაკი“ და კ. ოცხელის მიერ შეკრებილი სხვადასხვა პოეტის საყმაწვილო ლექსები სათაურით „სოინარი“ და „საყმაწვილო ბიბლიოთეკა I დდ II.“

კ.თავართქილაძემ 1902 წელს უფასოდ დაუტოვა ოზურგეთელ თანამოქალაქეებს მის მიერ დაარსებული წიგნსაცავი და სტამბა, რომლებიც სასახელოდ განაგრძნობდნენ წინა წლების ტრადიციებს.

1905-1907 წლებში გურიაში არსებობდა არალეგალური სტამბაც, რომელიც ცნობილი იყო ასკანის სტამბის სახელწოდებით. 1915 წელს არალეგალური სტამბა მოწყობილი იყო ლანჩხუთში.

1911 წელს ქ. ოზურგეთში ცნობილია საზოგადოებრივი ამხანაგობები „შრომა,“ „ნათელა“ და სხვ., რომლებსაც ასევე გააჩნდათ წიგნის მაღაზია და სტამბა.

1902 წელს თ. ბოლქვაძემ და სხვა უმუშევარმა მუშებმა გახსნეს სტამბა, რომელსაც ამხანაგობა „შრომა“ უწოდეს. აქ იბეჭდებოდა არალეგალური ბროშურები და პროკლამაციები. სტამბა სამჯერ იქნა დახურული. თ. ბოლქვაძემ 1907 წელს იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ დააარსა.

1917 წელს თ. ბოლქვაძეს მაშინდელი ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს სტამბის მოსაწყობად, სადაც მან გამგეასოთამწყობად 1934 წლამდე იმუშავა. აქ იბეჭდებოდა „გურიის ხმა“ და სხვა გამოცემები.

1931 წლის 5 იანვარს ამ სტამბაში დაიბეჭდა გაზეთი „ლენინის დროშა.“ აქ იბეჭდებოდა აგრეთვე გაზეთები „ბოლშევიკური სიფხიზლისათვის“(მტს-ის პოლიტგანყოფილების ორგანო), „ლაითურის ჩაი“ და სხვა. ამ სტამბაში მუშაობდნენ მბეჭდავები, შემდგომში შრომის გმირები, საქართველოს ცკ მდივანი შოთა ჭანუყვაძე, დიმიტრი ჭეიშვილი, ასოთამწყობები, შემდგომში სტამბის დირექტორები კონსტანტინე კვაჭანტირაძე, მიხაკო ნიკოლაიშვილი.

45 წელზე მეტ ხანს ემსახურა პოლიგრაფიას, აქედან დირექტორის პოსტზე ალექსანდრე მოლარიშვილი. აქ ოზურგეთის რაიონული გაზეთის გარდა 5 მრავალტირაჟიანი გაზეთი: „ნატანებელი კოლმეურნე,“ „მეგობრობის დროშით“(შრომა), „გამარჯვება“ (ძიმითი), „ლაითური“ და „წინსვლა“(მელექედური) იბეჭდებოდა.

* * *

1980 წელს ოზურგეთის სტამბის დირექტორად ჩვენი გაზეთის ყოფილი მუშაკი ვაჟა ჭანუყვაძე დაინიშნა. შემდეგ ამ სტამბის ბაზაზე ოზურგეთის პოლიგრაფიული გაერთიანება შეიქმნა, ხოლო შემდეგ –სააქციო საზოგადოება „ოზურგეთის სტამბა.“ ვაჟა ჭანუყვაძე ენერგიულად უძღვებოდა ამ საქმეს. ცდილობდა აღედგინა წიგნის გამოცემის ტრადიციები, თუმცა კომუნისტური რეჟიმის პირობებში ამ საქმის განხორციელება სპეციალური ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. 1989 წელს აქ 30 ათასი ტირაჟით დაიბეჭდა „ფეხბურთი–89,“(ავტორი ნუგზარ ასათიანი); ხოლო შემდგომში აქ რამდენიმე წიგნი დაიბეჭდა. მათ შორის კელერის „სოფლელი რომეო და ჯულიეტა,“ რომლის მთარგმნელი ვაჟა ჭანუყვაძე იყო.

საგამომცემლო საქმიანობა ამჟამად ინდ. მეწარმე რუბენ ჭელიძის სტამბის საშუალებით ხორციელდება.



გაზეთი „ალიონი“, №1-2, 2011წ.

იგი ქალაქის კოლორიტი იყო

თამაზ სალუქვაძის გახსენება, ჩემში იწვევს განსაკუთრებულ ემოციას, რამეთუ, ჩვენი მეგობრობა, ექვს ათეულ წელზე მეტს ითვლის. იგი გახლდათ უნიჭიერესი ჟურნალისტი და პოეტური მიმართულების ლიტერატორი.

ოზურგეთელთათვის საამაყოა, რომ იგი აქ დაიბადა, გაიზარდა და აქ მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. თამაზ სალუქვაძე ისეთ თანამდებობებზე მუშაობდა, (გაზეთების „დარიალის,“„ალიონის“რედაქტორი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“სპეც-კორესპონდენტი დასავლეთ საქართველოს ექვს რაიონში, ჟურნალ „ნიანგის“სპეც. კორესპონდენტი გურიის რეგიონში, მახარაძის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე და ა.შ)რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი სპეტაკი ბუნებიდან გამომდინარე, ხელფასის გარდა, სხვა არავითარი შემოსავალით არ უსარგებლია. იგი იყო უერთგულესი მეგობარი, თავისი ცნობილი მშობლების სასახელო შვილი, კარგი ძმა, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა.

ასეთი დარჩა იგი მისი მეგობრების და იმ მრავალრიცხოვანი საზოგადოების მეხსიერებაში, ვინც მას იცნობდა. დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა, რომელი ერთი ჩამოვთვალო: ნოდარ დუმბაძე, ზაურ ბოლქვაძე, გიზო და შოთა ნიშნიანიძეები, ვოვა სიხარულიძე და მისი თაობის არაერთი სხვა ცნობილი პიროვნებები.

მინდა მოვიგონო რამდენიმე მისთვის დამახასიათებელი კურიოზული შემთხვევა.

60-იან წლებში მახარაძის მილიციის რაიგანყოფილების უფროსად მუშაობდა ჩვენივე ქალაქის მკვიდრი, ბატონი ვახტანგ ჩხიკვიშვილი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩემთან და თამაზთან. იგი მაშინ ოზურგეთის რაიონული გაზეთის კორესპონდენტად მუშაობდა, მე კი—ანასეულის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად. ერთხელ ბატონმა ვახტანგმა დაგვიბარა და თამაზს სთხოვა, მილიციის კედლის გაზეთისათვის რაიმე ერთკუპლეტიანი ექსპრონტი დაეწერა. თამაზს ბევრი არ უფიქრია და იქვე ქაღალდზე დაუწერა:

„ღამე სახლში თუ დაგეცა
ვინმე ავის მდომი,
მილიცია იქ იქნება
შენთან გვერდით მდგომი.“

მილიციის უფროსმა წაიკითხა და დაუწუნა:—ნუ ჩქარობ, მოიფიქრე და უკეთესი დამიწერეო.

თამაზმა ნაშინვე აიღო მეორე ფურცელი და სწრაფად დაწერა:

„ღამე სახლში თუ დაგეცა
ვინმე ავის მდომი,
იცოდე, თავს გაუფრთხილდი,
მიუშვირე ჯდომი.“

ბატონ ვახტანგს რა თქნა უნდა, ეს ექსპრონტები არ მოეწონა და კედლის გაზეთისათვის არ გამოუყენებია, მაგრამ დიდხანს ინახავდა და სტუმრებს უკითხავდა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, მე ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დამნიშნეს და თამაზი ჩვენთან გამომცემლობის დირექტორად მივიწვიე.(ინსტიტუტს საკუთარი გამომცემლობა გააჩნდა, მეცნიერ-მუშაკთა შრომებს უშვებდა ქართულ და რუსულ ენებზე). იგი შემპირდა მოვიფიქრებ და შეგატყობინებო. როცა ცოტა ხნის შემდეგ შევეხმიანე, ასე მიპასუხა:—

„ვერ გისრულებ დანაპირსა
და არ მიხსნის დანა პირსა.“

მაგრამ ბოლოს მაინც დამთანხმდა და გარკვეული პერიოდი ერთად ვიმუშავეთ. იგი ინსტიტუტის კოლექტივში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ ჩვენი ერთად მუშაობის დროიდან:

სოფ. მერიაში განლაგებული იყო სამხედრო აეროდრომი, რომლის უფროსად იმ პერიოდში მუშაობდა პოლკოვნიკი დიმიტრი ივანეს ძე ხანიგინი. მას საკმაოდ სიმპათიური მეუღლე ჰყავდა და ისინი ხშირად გვსტუმრობდნენ ინსტიტუტში. ერთხელ, როცა სტუმრად გვყავდა პროფესორი ივანე ხოჭოლავა და მის ნაშრომს განვიხილავდით გამოსაქვეყნებლად, მოულოდნელად ხანიგინი და მისი მეუღლე გვესტუმრნენ. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ისინი ჩაით დავასაჩუქრეთ და როცა წავიდნენ, ბატონმა ივანემ მკითხა: —ბატონო არსენ, ვინ იყო ის ლამაზი ქალბატონი?

ჩემს მაიგივრად თამაზმა სწრაფად უპასუხა:

„ცოლი გახლავთ ხანიგინის,
ხან ჩვენ ვკოცნით, ხან იგინი.“

მასზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. ჩვენ ისეთ პერიოდში ვცხოვრობდით, როცა ქართულ ტრადიციებს, პოეზიას, იუმორს უდიდესი ყურადღება ექცეოდა.

როცა ვიგონებ ჩვენი ცხოვრების განვლილ გზას, გული მწყდება, რომ ყველაფერი ეს ოდესღაც იყო და არასდროს განმეორდება — ჩვენსა და წარსულს შორის გადაულახავი კედელია აღმართული.

ვაგლახ, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთ ძალა არ შეგვწევს, რათა წინ აღვუდგეთ წარსულის განუმეორებელი ხიბლის, კოლორიტის და შესანიშნავი ტრადიციების თანდათან წაშლის რთულ და შეუქცევად პროცესს.

არსენ კეჟაყმაძე,
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასოცირებული პროფესორი.

ასე მოდიოდა „ალიონი“

(ისტორიის საფეხურები)

ოზურგეთში პირველი პერიოდული ნაბეჭდი გაზეთი გამოვიდა 1918 წლის 7 ივლისს—ეწოდა **„გურიის ხმა“**(იყო ყოველკვირეული, ოთხგვერდიანი გაზეთი)—გურიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ორგანო. დაარსდა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებიდან თვენახევრის შემდეგ (რედაქტორი მდუდუჩავა, ახალგაზრდა მარქსისტთა ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი).

1920 წლის 1 მაისს გამოვიდა გაზეთი **„გურიის ერობის მოამბე“** (ყოველკვირეული, შემდეგ ორკვირეული. იბეჭდებოდა ა. კალატოზიშვილის სტამბაში)-სარედაქციო კოლეგია.

1921 წლის დასაწყისში —გამოდიოდა სამაზრო ერობის ორგანო „გურიის ხმა“ (სამდღიური, ორგვერდიანი გაზეთი) —სარედაქციო კოლეგია. ოზურგეთში საბჭოთა პერიოდის პირველი ნაბეჭდი გაზეთი იყო **„განახლებული გურია“**(ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია) —საქკპ გურიის კომიტეტისა და რევკომის ორგანო. პირველ ხანებში 8-გვერდიანი იყო. გამოვიდა 1921 წლის 14 ოქტომბერს.

1922 წელს ოზურგეთში გამოიცა საქ. კპ გურიის კომიტეტის გაზეთი **„გურიის კომუნარი.**“აგრეთვე, რაიონული გაზეთის გარდა 1922 - 1923 წლებში —ერთდროული ლიტერატურული გაზეთი **„პოეზიის დღე,“** 1924 წელს —ლიტერატურული ჟურნალი **„ჩვენი არგონავტი“** (ამ გამოცემებში და შემდეგაც გამოცემებში (ლიტ. ალმანახები და სხვ.) მონაწილეობდა პედაგოგი და მწერალი **ვანო სალუქვაძე** (ფსევდონიმი —სერელი, ბინდელი), შემდგომში —გაზ. „ლენინის დროშის“ რედაქციის წევრი—ლიტ. მუშაკი, პას. დივანი... (უპარტიო იყო), ლიტჟურნალებისა და გაზეთების გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი (სხვებთან ერთად).

1931 წლის 5 იანვარს გამოვიდა ოზურგეთის რაიონული გაზეთი **„ლენინის დროშა“** (ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1990 წლის მარტამდე). 1962-65 წლებში იგი იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს რეგიონალური გაზეთი. რედაქტორები სხვადასხვა წლებში (თანმიმდევრობით) იყვნენ: **დავით არობელიძე, აკაკი გოცირიძე, ანდრო კირცხალია, ივლიანე ძიძიგური, ვასილ ლომინაძე, მოსე ტულუში, ლეონიდე მახარაძე, ამბროსი სალუქვაძე, ივანე ვოგუაძე, ვახტანგ ჯაყელი, აფთონ გურგენიძე, თამაზ სალუქვაძე...** რედაქტორის მოვალეობას დროებით ასრულებდნენ: **ალექსანდრე მელაძე, თეო აბაშმაძე, ივანე უჯმაჯურიძე, არკადი ზაქარიაძე**. 1990 წლის 22 მარტიდან გაზეთს ეწოდა **„გურია.**“(ამ სახელწოდებით გამოვიდა გაზეთის სულ 5 ნომერი (5 აპრილამდე). ხოლო 1990 წლის 5 აპრილს გაზეთს ეწოდა „**ალიონი.**“

„ალიონი“1990 წლის 6 ოქტომბრიდან 1991 წლის 30 მარტამდე იყო ჯერ ოზურგეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს, შემდეგ აღმასკომის ორგანო;

1991 წლის 2 აპრილიდან 8 აგვისტომდე— ოზურგეთის რაიონული (დამოუკიდებელი) გაზეთი;

1990 წლის 10 აგვისტოდან 1992 წლის 4 იანვრამდე—ოზურგეთის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო;

1992 წლის 9 იანვრიდან 4 აპრილამდე —ოზურგეთის რაიონული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი;

1992 წლის 8 აპრილიდან 25 აპრილამდე—ოზურგეთის რაიონული თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი;

მარცხნიდან: ბორის შეყირული, ამროსი სალუქვაძე , აკაკი მჟავანაძე. 1946 წ.

1992 წლის 2 მაისიდან 1993 წლის 18 დეკემბრამდე—ოზურგეთის რაიონული დამოუკიდებელი გაზეთი;

1992 წლის 28 დეკემბრიდან „ალიონს “ ეწოდა ოზურგეთის რაიონული გაზეთი.

იგი, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ალიონის“ სახელწოდებით გამოდის ამჟამადაც.

* * *

გასული საუკუნის 90-იან წლებში ოზურგეთში რამდენიმე გაზეთი დაარსდა. მათ შორის ყველაზე დიდი ტირაჟით გამოდიოდა ოზურგეთის ჟურნალისტთა პრესკლუბის გაზეთი **„თვალსაწიერი“** (რედაქტორი ნინო გოგუაძე); 1989 წელს დაარსდა ოზურგეთის სახალხო ფრონტის გაზეთი **„ოზურგეთის მოამბე“**(კ. ბერიძე, გ. თავაძე, ნ. ასათიანი, მ. ზაქარიაძე) გამოვიდა რამდენიმე ნომერი. 1990-93 წლებში ნინო თოიძის საზოგადოება უშვებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბიულეტენს **„ლეხური,“** (რედაქტორები გ. ჭელიძე, ნ. ასათიანი); გამოვიდა გაზეთ **„ანაბზინის**“(რედაქტორი თ. ხარაიშვილი) რამდენიმე ნომერი. თამაზ ხარაიშვილის რედაქტორობით გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ **„მარიოტას“** 2 ნომერი, ხოლო საქართველოს მწერალთა კავშირის გურიის რეგიონალური ორგანიზაცია უშვებდა ლიტერატურულ ბიულეტენს **„ვუბაზეული.“** (რედაქტორები გ. ჭელიძე, ნ. ასათიანი). მომდევნო წლებში ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბმა გაზეთ **„ინფო გურიას“** რამდენიმე ნომერი გამოუშვა, ხოლო ჟურნალისტმა ეთერ ქადეიშვილმა გაზეთი **„სარინო“** დააარსა. 2005 წელს გამოვიდა გაზეთ **„მარიოტას“** 2 ნომერი (რედ. ნინო ნიკოლაიშვილი)

ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოება **„გურიის მთები“** ამავე სახელწოდების გაზეთს უშვებდა.

ამჟამად ოზურგეთში გამოდის გაზეთები: **„ალიონი“, „გურიანიუსი“, გურიის მოამბე“.**

ქორეოგრაფია ისტორიკოსის თვალით

კულტურის ყოველი დარგი ერის ისტორიის თავნკარა წყაროა. მათ შორისაა ქორეოგრაფიაც.

სწორედ ამიტომაა, რომ საისტორიო მწერლობა ასე დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურის ამ შესანიშნავ დარგს.

ამის ბრწყინვალე მაგალითია დიდი ნიკო მარი (1864-1934), რომელიც ყოველთვის დიდ გულისყურს იჩენდა ცეკვებისადმი.

სამწუხაროდ, ქართველ ისტორიკოსთაგან ნიკო მარს არც თუ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

ეს უმიზეზოდ არ მომხდარა, მაგრამ ამ ზიანს ვინღა ზღვავს, რაც ამით ჩვენს საისტორიო მეცნიერებას მოუვიდა?!

ქორეოგრაფიის ისტორიის მკვლევარი ძიებისას უმთავრეს მეისტორიეთა ნაშრომებს ემყარება, რომელშიც ხშირად არც ისე ნათლადაა წარმოჩენილი ჩვენი წარსულის ესა თუ ის საკითხი. ამ ხარვეზის შევსება კი ქორეოგრაფს ისეთი სიღრმით არ შეუძლია, როგორც პროფესიონალ ისტორიკოსს. ეს გარემოება კი ხელს უშლის ქორეოგრაფიის, როგორც საისტორიო მეცნიერების წყაროს სრულყოფილად ამეტყველებასა და მის მონაცემთა საფუძველზე ერის ისტორიის ამა თუ იმ ეტაპის უკეთ წარმოჩენას.

ეს კი არა, კარგა ხანია ისეთი პარადოქსებიც კი დამკვიდრდა მეცნიერებაში, როგორიცაა ჭანური ქორეოგრაფიის სრული უარყოფა და მისი ლაზურ ცეკვებად გამოცხადება. ჩვენი ვალია უფრო მეტი გულისხმიერება გამოვიჩინოთ წარსულისადმი და ასე უსამართლოდ ნუ მოვეკიდებით ისეთ დიდებულ ქართულ ტომს, როგორიც ჭანი გახლდათ.

ჭანები დიდად პროდუქტული კოლხური ტომი (ქართ. „ნათესავი“)იყო, რომელმაც წარუვალი კვალი აღბეჭდა არა მარტო საქართველოს, არამედ ბიზანტიის ისტორიაშიც.

დღეს, სახელწოდება „ჭანი“იშვიათად თუ სადმე გაიელვებს ქართულ სამეცნიერო გამოკვლევებში, მაგრამ საბედნიეროდ, ამ ხარვეზს ასე თუ ისე ავსებენ აქედან გამომდინარე საგვარეულო სახელები: ჭანიშვილი, ჭარბა, ჭანია და მისთანანი.

ამავე ტომის ხსოვნას ინახავენ საგეოგრაფიო სახელები: ჭანიეთი, ჭანიეთური (ოზურგეთის რაიონი), ჭანისწყალი (ოდიში) და ა.შ.

ამაზე მიგვითითებს „კაპჭანი“-ც (სპილენძის პატარა ჭურჭელი).

ამით არ მთავრდება ამ დიდებული ტომის ნაკვალევი ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, მაგრამ ესეც საკმარისია იმის ნათელსამყოფად, რომ სატომო სახელ „ჭანსაც“უფრო გულისყურით მოვეპყრათ, საგეოგრაფიო სახელსაც „ჭანეთი,“ჭანურ ცეკვებსაც.

მეტი გულმოდგინებით ჩავიხედოთ ძველ ქართულ წყაროებსა თუ ქართული საისტორიო მწერლობის კლასიკოსთა შრომებში და ადვილად ნუ შევაქცევთ ზურგს იმ ბრწყინვალე ტრადიციებს, რომელსაც ასე დიდი და მარად წარუვალი შემოქმედებითი გენით ქმნიდნენ ჩვენი დიდებული წინაპრები.

იური სიხარულიძე,
პროფესორი

გვახსოვხარ, ყოველთვის გვახსოვხარ, ანუ ლამაზი ლოგიები ბიჭვინთაში

1975-1985 ნლებში, აფხაზეთში, ჯეიძოდ ბიჭვინთაში, ჟურნალისტთა ჯავშირი შემოქმედებით სემინარებს ატარებდა, რომელშიაც მონაწილეობა საქართველოს ძალიან ბევრმა ცნობილმა და ახალგაზრდა ჟურნალისტმა მიიღო.
სემინარმა უმასპინძლა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებს იმჟამინდელი საბჭოთა ჯავშირიდან... აღსანიშნავია, რომ იმ დროის ჯვალობაზე მათი აზრები გახლდათ ძალიან თამამი...

ბიჭვინთა. 1983 წ. სხედან: ნუგზარ ასათიანი, მანანა ქილიფთარი

წარსულში „ლენინის დროშის“ და დღევანდელი „ალიონის“ რიგით მეათიათასე ნომერი გამოვიდა. თავისთავად ეს მნიშვნელოვანი ფაქტია მის ბიოგრაფიაში და დრო იმისა, რომ წარსულისაკენ მიიხედო.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, თითქმის მიწურულამდე ეს გაზეთი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო რაიონულ გაზეთთა შორის. კი, კი გამოხატავდა იგი იმდროინდელი რეჟიმის სულისკვეთებას, მაგრამ დრომ ცხადყო, რომ აღმოჩნდა საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული რაიონის, მახარაძის ცხოვრების უტყუარი მემატიანე და რაც ასევე მნიშვნელოვანია, სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა რედაქტორების მოღვაწეობისას, მან მოახერხა მკითხველთა სამსჯავროზე გამოეყვანა უნიჭიერესი ადამიანები, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

რთული, მაგრამ ამასთანავე საოცრად საინტერესოა ჩვენი პროფესია; რა თქმა უნდა, თუ პასუხისმგებლობით ეკიდები შენს მოვალეობას. იგი ხშირად მოგაქცევს ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრში, უამრავი საინტერესო ადამიანის ცხოვრებაში ჩაგახედებს და ამდენად მოგონებებიც უფრო მეტია და მძაფრი, რა თქმა უნდა ტკბილიც და მწარეც.

ჩვენთვის, გასული საუკუნის 80-იანი წლების ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის გამორჩეულად სასიამოვნოა მოგონებები, რომელიც ბიჭვინთის შემოქმედებით სემინარს უკავშირდება

1975 წელს ჟურნალისტთა კავშირის მდივანს, სოსო ხელაძეს გაუჩნდა იდეა, ყოველწლიურად ბიჭვინთაში, სადაც საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი მრავალსართულიანი პანსიონატი იყო, (კინემატოგრაფისტების და ჟურნალისტების შემოქმედებითი სახლი) ჟურნალისტთა შემოქმედებითი სემინარები ჩატარებულიყო. იდეას მხარი დაუჭირა ჟურნალისტთა კავშირის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ოდნავ მოგვიანებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში, გურამ ენუქიძემ.

პირადად უსაზღვროდ მადლობელი ვარ „ლენინის დროშის“ იმჟამინდელი რედაქტორის, ბრწყინვალე პიროვნების, პროფესიონალისა და ახალგაზრდობაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცის, ბატონი აფთონ გურგენიძის, რომელმაც პირველსავე წელს ახალგაზრდა ჟურნალისტთა სემინარზე დასასწრებად ჩემზე შეაჩერა არჩევანი. ბიჭვინთას უკავშირდება ჩემი პირველი პროფესიული სიხარული, როცა კონკურსის გამარჯვებული გავხდი, იმხანად ძალიან პოპულარულ ჟურნალისტებთან ია მუხრანელთან და თამაზ ჭეიშვილთან ერთად. ეს ფაქტი გაშუქდა საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამით. როცა დავბრუნდი, უამრავი ოზურგეთელი მილოცავდა ისე, თითქოს გმირობა ჩამედინოს, თუმცა, გულწრფელად გეტყვით, ეს ძალიან მსიამოვნებდა და გულის სიღრმეში ცოტათი ვამაყობდი კიდეც.

ჟურნალიტთა სახლი იდგა ყველაზე ლამაზ ადგილას, იქ, სადაც მერაბ ბერძენიშვილის შედევრი –ქანდაკება, მედეა დგას, ძალიან ახლოს ზღვის ნაპირთან. ირგვლივ ულამაზესი ხე-ბუჩქნარი, მოლივლივე, მაგრამ დეკემბრის კვალობაზე უმეტესად აბობოქრებული ზღვა, მთქლოშარე წვიმები. თუმცა უზადო გემოვნებით ნაგებ შენობაში სითბო და არაჩვეულებრივი განწყობა სუფევდა. ეს იყო ფორმითა და შინაარსით საოცრად შერწყმული პროექტი, სადაც გონივრულად იყო გათვლილი ყოველი საათი, წუთიც კი.

10 საათიდან პანსიონატის ბოლო, ვფიქრობ მე-9 სართულზე მდებარე ბარში ვიკრიბებოდით. ვხვდებოდით სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ ადამიანებს კავშირის მასშტაბით. რესპონდენტების გამოსვლის შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში გადავდიოდით. იმ დროისათვის მოწვეული სტუმრები იყვნენ ძალიან თამამები, დაუფარავად აფიქსირებდნენ თავიანთ შეხედულებებს, ხშირად ისეთებსაც, რომლებიც აშკარად ეწინააღდეგებოდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას.

სემინარები ორ ეტაპად, დეკემბერში, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე იმართებოდა. პირველ ეტაპს ესწრებოდნენ უფროსი კოლეგები, ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის ხელმძღვანელები, ზოგჯერ მოადგილეები, განყოფილებების გამგეები. მეორე კვირა კი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი.

სემინარი სხვადასხვა წლებში მასპინძლობდა იგორ ფესუნენკოს, საკავშირო საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ მთავარ მიმომხილველს; საზღვაო ფლოტის ადმირალს, თემურ გაიდარს (ცნობილი მწერლის, არკადი გაიდარის ვაჟს, რომელსაც მიუძღვნა თავისი ბრწყინვალე წიგნი „თემური და მისი რაზმი); ევგენია ზიგელენკოს, ერთ-ერთ მოხალისე მფრინავ გოგონას იმ ცნობილი გოგონებიდან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს თავგზას უბნევდნენ გერმანელებს. მოგვიანებით იგი კინორეჟისორი გახდა და ამ თემაზე მხატვრული ფილმი გადაიღო; რამაზ დათიაშვილს, რომელმაც საბჭოთა კავშირში პირველად, ლატველ გოგონას გაუკეთა უნიკალური ოპერაცია; ცნობილ ჟურნალისტებს გალინა სერგოვასა და ინა კარიკოვას; უპირველეს ქართველ კრიტიკოს გურამ ასათიანს; მსახიობ სოფიკო ჭიაურელს; კინორეჟისორ რეზო ესაძეს, რომელმაც სემინარზე პირველად აჩვენა მისი ფილმი „ერთი ნახვით შეყვარება.“ არაჩვეულებრივი ფილმი „ბაკურციხელი ხევსური“ წარმოადგინა გოდერძი ჩოხელმა და მისთვის ჩვეული გულუბრყვილობით გვითხრა, რომ პირველად ნახა ზღვა; შევხვდით რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ლერი თალაკვაძეს, რომლის გულწრფელი გამოსვლაც მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის. მან, გენერალურმა პროკურორმა აღიარა, რომ უძლური იყო ბევრი პრობლემის წინაშე. და ვინ მოთვლის რამდენ საინტერესო ადამიანს მასპინძლობდა ბიჭვინთის სემინარი. იგი გახდა საუკეთესო ადგილი კოლეგებს შორის ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. მან საშუალება მოგვცა ახლოს გავცნობოდით ჩვენს ნიჭიერ და უკვე საყოველთაოდ აღიარებულ ჟურნალისტებს: პაატა ნაცვლიშვილს, ლაშა ნადარეიშვილს, მარინა ვაშაყმაძეს, ნანა ლომიძეს, ვახტანგ აბაშიძეს, თამაზ ჭეიშვილს, ნუგზარ ერგემლიძეს, (მაშინ საქართველოს ტელევიზიის ჟურნალისტი იყო), ნუგზარ ჯაფარიძეს, მრავალტირაჟიან გაზეთ „ენგურის ჩირაღდნების“ რედაქტორსა და ცნობილ მომღერალს თემურ ცაგურიას (ამჟამად ნიუ-იორკში მოღვაწეობს), ლაშა ნადარეიშვილს და სხვებს.

არ შემიძლია არ გავიხსენო ჩვენი ძალიან თბილი ურთიერთობები აფხაზ კოლეგებთან, „საბჭოთა აფხაზეთის“ და გუდაუთის რაიონულ გაზეთ „ბზიფის“ კორესპონდენტებთან. 1983 წელს გაზეთ „ბზიფში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი არასასიამოვნო წერილის გამო მათ ბოდიშიც კი მოიხადეს.

გამოსამშვიდობებელ საღამოს, რომელიც დიდი პომპეზურობით ტარდებოდა, სტუმრობდნენ აფხაზეთის პარტოკრატები ბორის ადლეიბა, სერგეი ბაღაფში და სხვები. თუმცა სიტუაცია სასურველი არ იყო და ეს იგრძნობოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვინარჩუნებდით მათთან თბილ ურთიერთობებს და ისინიც გვპასუხობდნენ.

მინდა კმაყოფილებით გავიხსენო, რომ ყოველწლიურად ოზურგეთიდან და ზოგადად გურიიდან წარგზავნილი მაშინ ახალგაზრდა ჟურნალისტები ეთერ ქადეიშვილი, ნუგზარ ასათიანი, ნუკრი ნიკოლაიშვილი, თამაზ ხარაიშვილი, ლენა ქადეიშვილი, ილია ჩხატარაშვილი, შორენა ჩხაიძე, ქეთევან ნაკაშიძე და სხვები სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ სემინარის მუშაობაში.

ბიჭვინთის შემოქმედებითი სემინარები 10 წელი იმართებოდა და მე-11 წელს მოხდა ის, რაც ხშირად ხდებოდა, ხდება და სამწუხაროდ ალბათ მომავალშიც მოხდება საქართველოში.

ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნიკა ჩერქეზიშვილი, რომელსაც არასასურველი ურთიერთობა ჰქონდა მის წინამორბედთან, საოცრად ერუდირებულ გურულთან გიორგი ბედინეიშვილთან. ბატონ გიორგის ბიჭვინთის სემინარები ძალიან მოსწონდა და მისი ერთგული მხარდამჭერი გახლდათ. პირადი ინტერესის გამო, სრულიად გაუგებრად, ახალმა ხელმძღვანელმა ანგარიში გაუსწორა წინამორბედს და ამ საინტერესო პროექტს საბოლოოდ დაუსვა წერტილი. სემინარის ორგანიზებას ახდენდა ჟურნალისტთა კავშირის კონსულტანტი და ჩვენი დიდი მეგობარი ლია მიქაძე.

* * *

ჩვმი კოლეგების დიდმა ნაწილმა სიცოცხლის ბოლომდე ატარა იმ საინტერესო დღეების მოგონებანი.. ჩვენ კი, ძალიან ხშირად ვიხსენებთ იმ დაუვიწყარ შეხვედრებს ბიჭვინთის ულამაზესი ცის ქვეშ. იგი ჩვენთვის მარტო სემინარების ალაგი როდი გახლდათ. იგი იყო მთლიანად აფხაზეთთან მიახლების უდიდესი საშუალება. ერთი საგაზეთო წერილი, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს იგი, ვერ დაიტევს იმ ამაღლებულ განწყობილებას, რაც იყო იქ, აფხაზეთში.

ბიჭვინთა ყოველთვის მაგონებს ჩვენს პოპულარულ კოლეგას და ნიჭიერ ხელოვანის ნუგზარ ერგემლიძის ერთ ლამაზ სიმღერას: „მახსოვხარ, ყოველთვის მახსოვხარ“...რომელსაც იგი ყოველ საღამოს გვიმღერდა. ახსოვდა ჩვენს გარდაცვლილ კოლეგებს, გვახსოვს ჩვენ, დღეს უკვე გულისტკივილითაც. ამ ტკივილს ხომ აფხაზეთი ჰქვია.

მანანა ქილიფთარი

საგაზაფხულო გამოფენა

ნინო ნიკოლაიშვილი

სიცოცხლის წყურვილი და თავად ცხოვრების არსის შეცნობის, წვდომის დაუოკებელი სურვილი – ხელოვანთა ცნობიერებაში უკეთ განსახლებული, ეს ხელოვნების არსია, მრავალმხრივი და მრავალჯერადი. ამჯერად ფორმა, რომელმაც ოზურგეთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, გურიის მხატვართა ორგანიზაციის მიერ რეგიონის მხატვართა ნამუშევრების საგაზაფხულო გამოფენა გახლავთ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ სურათების გალერეაში. ჩოხატაურიდან: მზია კვინტრაძე, ქეთევან კუკულავა, თემურ ბერძენიშვილი, ირმა ღუტიძე, ვაჟა დუმბაძე; ლანჩხუთიდან: თენგიზ დარჩია, ეკა წილოსანი, დავით თავდიშვილი, გოგი თავაძე, მანანა ფირცხალაიშვილი; ოზურგეთიდან: ავთანდილ თავართქილაძე, თამაზ დარჩია, გია დარჩია, ემზარ ხაბულიანი, სულიკო ლომჯარია, ნინო კეჭაყმაძე, გიორგი კალანდაძე, შორენა კიკუტაძე, ლია მოლარიშვილი, ვალერი მახარაძე, ნანი ჭანუყვაძე, ლელა ბასილა, მაია გოგოტიშვილი, დავით ინგოროყვა, მაია თავამაიშვილი (12 ესკიზი თემურ თემქელის წიგნიდან „თოვლში გაჩრეებული მატარებელი“), მირანდა ვანიძე, ნატო ყალიჩავა, თენგიზ ბერსენაძე, ნინო ჭელიძე, კახა ჩხაიძე, გოგი თავაძე, აწ გარდაცვლილი მხატვარი კორნელი ჩხატარაშვილი.

მუყაო, ზეთი, აკვარელი, გუაში, შერეული ხელოვნება, ქარგვა, ნაკეთობა, ხეზე კვეთა... სხვადასხვა საშუალებითა და თემატიკით წარსდგნენ გურიის რეგიონის მხატვრები საზოგადოების წინაშე.

ავთანდილ თავართქილაძე: გალერეის დირექტორი: –ამ შემთხვევაში მე გამოფენაში ვმონაწილეობ, როგორც რიგითი მხატვარი. თამაზი ცდილობს რეგიონის მხატვრებს მისცეს შესაძლებლობა წარმოჩენისა. მომავალში შეირჩევა ნამუშევრები შემოქმედებითი თვალსაზრისით, ნახატი არ უნდა განმეორდეს. ამაზე შესაბამისი საბჭო იმსჯელებს. სიახლე, ინდივიდუალობა, ორიგინალობა, მხატვრის შემოქმედებითი ღირებულება ამისგან შედგება და მომავალ გამოფენებშიც, სწორედ ამის გათვალისწინებით მოხდება ნამუშევრების შერჩევა.

თამაზ დარჩია, გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე: – ეს უკვე მეხუთე გამოფენაა, რაც ჩვენი კავშირის ინიციატივით გავაკეთეთ. გვინდა მთავრობის მხარდაჭერა გურიის რეგიონის მხატვართა ნამუშევრების კატალოგის შესაქმნელად.

ვახტანგ მამეიშვილი: – ადრე ჩვენ აჭარის მხატვართა კავშირის ორგანიზაციაში ვიყავით გაერთიანებული, კარგია, რომ ოზურგეთშიც მოგვეცა ამისი შესაძლებლობა. კარგი თაობა მოდის ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში. მათთვის კარგი მაგალითია უფროსების მუშაობა.

მამა მათე (გორდელაძე): – შემოქმედება თავისი არსით ემსახურება უფალს და ეს მისი სიყვარულის და მადლის წარმოჩინებაა. ხელოვანი ადამიანები უნდა ცდილობდნენ უფალს უბრუნებდნენ ამ ნიჭს.

წარმატებები უსურვა რეგიონის მხატვრებას ოზურგეთის კულტურის სამსახურის უფროსმა მაია თანდილაშვილმა.

საგეოგრაფიო სახელი ოზურგეთი

ოზურგეთი 1833 წ. დუბუა დე მონპერე ჩანახატი

ოზურგეთის სახელწოდების წარმოშობის ზუსტი თარიღი ძნელი დასადგენია. წერილობით წყაროებში იგი მოხსენიებულია XVI საუკუნეში ბერი ეგნატაშვილის "ახალი ქართლის ცხოვრებაში : „მაშინ გიორგი გურიელმა ჰყო ეგრეთ დაიჭირა დათულია (ოდიშის მაშინდელი მთავრის გიორგი დადიანის ბიძა) და დაატყვევა ოზურგეთს და საჯავახო თვითონ დაიპყრა.“ („ქართლის ცხოვრება,“ წიგნი II, 1959 წ. გვ. 562).

ოზურგეთს იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ამ წყალზედ შემოქმედს ქვეით არს ოზურგეთი სასახლე დიდშენი, კეთილპალატოვანი გურიელისა" (ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა,“ თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბ. 1941 წ. გვ. 179).

ოზურგეთი, როგორც ციხე-სიმაგრე მოხსენიებული აქვს 1854 წელს კარლ-მარქსს თავის სტატიაში „მდგომარეობა რუსეთ-ოსმალეთის საომარ მოქმედებათა ასპარეზზე“: „ერთდროულად სელიმ-ფაშას ჯარი წმინდა ნიკოლოზის სიმაგრიდან (შეკვეთილიდან) წაიწია წინ ოზურგეთისაკენ, საიდანაც რუსები ოსმალოებს ხშირად აწუხებდნენ და ემუქრებოდნენ კიდეც და აიძულა რუსები დაეცალა ეს ციხე-სიმაგრე. ამ გამარჯვებამ უზრუნველყო სელიმ-ფაშას კავშირი ყარსში მყოფ ოსმალთა მთავარ ძალებთან.“ (კ. მარქსი, ტ. 10 გვ. 287).

ოზურგეთი აღწერილი აქვთ ქართველ თუ უცხოელ მოგზაურებს, რომლებიც გადმოგვცემენ მათი თვალით დანახულ გურიის ძველ დედაქალაქს. ოზურგეთის შესახებ ვცელ ინფორმაციას გვაწვდიან იტალიელი მისიონერები: აღმოსავლეთ მცოდნე დონ ქრისტიფორე დე კასტელი, ანტონიო ჯარდინა, კლიმენტო გალიანო და სხვებიც, რომლებიც 1628-54 წლებში სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდნენ საქართველოში. აქედან 7 წელი ცხოვრობდნენ ოზურგეთში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კასტელის ჩანახატები საყურადღებო მინაწერებით. უნიკალურია ოზურგეთის ჩანახატი, გურიელების, მათი ოჯახის წევრებისა და სხვათა პორტრეტები. მათ პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება, რადგან XVII საუკუნის I ნახევრისათვის სხვა მასალები არ არის შემონახული.

ოზურგეთის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული პრუსიის სამეფოს პრინცს ალბრეხტ ჰოჰენცოლერნს, რომელიც გურიაში მოგზაურობდა 1862 წლის 28 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე. მისი აღწერით: „ქალაქი მომაღლო ადგილზე მდებარეობდა. უფრო დაბლა, საიდანაც ქალაქში გზა შედიოდა, ბაზარი იყო. ბაზარში მრავალი წიფლის ხე იდგა, თვითონ ბაზარი ცალკე მდგომ რამდენიმე ხის სახლს წარმოადგენდა. ქალაქში მაღლობის ქიმზე (კონცხზე) ეკლესია იდგა.“ უცხოელი მოგზაურის სიტყვით ოზურგეთი 1862 წელს პატარა დასახლება უფრო იყო, ვიდრე ქალაქი. თუმცა იგი 1846 წლიდან ქალაქად იყო გამოცხადებული. „ოზურგეთი ფაქტიურად ქალაქი არცკია, კაზინო კი აქვსო,“ უკვირს უცხოელს. კაზინოს შენობა მეორე ყოფილა სამაზრო სამართველოს შენობის შემდეგ. კაზინო კი იყო ცენტრი მთელი გურიისა მისი წარჩინებული საზოგადოებისა“ (ქველი ჩხატარაიშვილი "გურია უცხოელის თვალით“, 1986 წ.)

1833 წელს გურიაში იმოგზაურა შვეიცარიელმა მოგზაურმა და სიძველეთა მკლევარმა დიუბუა დე მომპერემ, რომელმაც პირველად მოიხილა ჩოხატაური და შემდეგ ოზურგეთი. საინტერესოა მისი ჩანახატები ოზურგეთის შესახებ.

1895 წელს გურიაში მყოფი ინგლისელი ქართველოლოგი მარჯორი უორდროპი ოზურგეთის შესახებ წერდა: „გურიის დედაქალაქი ოზურგეთი—იგი პატარაა, ძლივს აღემატება დიდ სოფელს, მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენს ლიტერატურისადმი. აქვს თავისი სტამბა და მრავალ წიგნს აქვეყნებენ.“

1873 წელს გურიაში იმოგზაურა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც შეისწავლა და გამოიკვლია ისტორიული ძეგლები. ოზურგეთის შესახებ კი წერდა: „ოზურგეთი გურიის მთავართა საზამთრო რეზიდენცია იყო. მათი ყოფილი სასახლე ახლა ლაზარეთს უჭირავს, ოზურგეთის შენობებიდან ყურადღების ღირსია თავადი დიმიტრი ქაიხოსროსძე გურიელის ორსართულიანი სახლი, რომელიც ამ ბოლო დროს აუგიათ ევროპულ-თურქულ ყაიდაზე (დ. ბაქრაძე „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში,“ 1987 წ. გვ. 15)

ოზურგეთს შემდეგნაირად იხსენებს საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძე: „მე გავიზარდე ქალაქ ოზურგეთში. ჩემი ბავშვობა და სკოლის წლები აქ გავატარე და ვფიქრობდი, რომ ოზურგეთზე უკეთესი და ულამაზესი ქალაქი ქვეყანაზე არსად არ იყო. ოზურგეთი სამაგალითო ქალაქათ მიმაჩნდა. როდესაც სამსართულიანი სუროთი შეფოთლილ ძველი ციხის გვერდზე, ქალაქის დაღმართზე ჩავირბენდით, ამ ციხეში ჩემს მეხსიერებაში ყოველთვის ორი რუსის სალდათი თავისი ოჯახით ბინადრობდა და ხალხს ეშინოდა მათი. ჩვენ ბავშვებიც არ ვეკარებოდით ციხეს. მხოლოდ ვიცოდით, რომ ეს ციხე ძველად გურიის მთავრის, გურიელის სასახლე იყო და გურიელი ამ ციხიდან გადასცქეროდა თავის ქალაქს— ოზურგეთს. სადღა არიან გურიელები. ყველანი დაიხოცნენ." (ო. ი. მ. საქმე №531, გვ. 111-112)

ძველი გურიიის დედაქალაქი ოზურგეთი აღწერილი აქვს მკლევარს, ეთნოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეს თედო სახოკიას თავის „მოგზაურობა“-ში: „აჰა, ესეც კოპწია გურიის დედაქალაქიცა! ადამიანის ყურადღებას იპყრობს თავდაპირველად ის უხვი სამოსელი რომელშიაც გახვეულია ოზურგეთი. ასე ბრძანეთ შეცდომით ტყეში შევედით, სადაც შეცდომითვე სახლებია აშენებულიო. საშუალო ტანის მწვანე ქუჩებს აქეთ-იქეთ მხარეზე ჩარიგებული აქვს სხვადასხვა სიდიდის ხეები, ზოგი ადამიანის ხელითაა დარგული, ზოგიც თავისით ამოსული" (თ. სახოკია „მოგზაურობანი,“ 1985 წ. გვ 27)

თუ საიდან წარმოსდგება „ოზურგეთი“ და რა შინაარსი დევს ამ სიტყვაში, მკლევარები დიდიხანია დაინტერესდნენ, მაგრამ მისი საიდუმლოების შეცნობა გაძნელდა ზოგი მას სპარსულ სიტყვად მიიჩნევს სხვა ზანურად (ჭანურ-ლაზურად) ხალხში უფრო ოსმალური წარმომავლობის აზრია გავრცელებული.“ (იური სიხარულიძე)

სახელწოდება ოზურგეთის შესახებ გამოთქმულია მრავალი მოსაზრება ნ. მარის, ი. აბულაძის, მ. ჯანაშვილის, თ. სახოკიას, გ. ლომთათიძის, ი. სიხარულიძის, ზ. ჭუმბურიძის, ს. ჯიქიას, გ. დარჩიას, გ. ბედოშვილის, მ. თავდიშვილის, კ. ხარაძის და სხვების მიერ.

ოზურგეთის თურქულიდან წარმომავლობას წერილობით არავინ შეხებია, თურქოლოგ სერგი ჯიქია და პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის აზრით, „ოზურგეთი ჩამოგავს თურქულ სიტყვას „ოზურგით,“ რომლის შინაარსი ყოფილა „მოიხადე ბოდიში და წადი.“

ოზურგეთის სახელწოდებას პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე შემდეგნაირად ხსნის, რომ იგი ნაწარმოებია „ო“ პრეფიქსითა და „ეთ“ სუფიქსით „ზურგ“ სიტყვისაგან, რაც კოლხურად „მთის ზურგს“, „გორაკს“, „ბორცვს“ ნიშნავს, კოლხურია „ო“ პრეფიქსი, რაც ქართულში „სას“ შეესაბამება და იგი დანიშნულებას გამოხატავს და ამდენად ოზურგეთი იგივეა, რაც „საბორცვეთი.“ კობა ხარაძე იზიარებს ამ მოსაზრებას და განავრცობს: „ჩვენც მიგვაჩნია, რომ ოზურგეთი ნაწარმოებია ქართულში საკმაოდ გავრცელებული „ო-ეთ“ პრეფიქს-სუფიქსისაგან „ო“ პრეფიქსით უამრავი გეოგრაფიული სახელწოდებაა ნაწარმოები დასავლეთ საქართველოში, რომლის იდენტურია მთელ საქართველოში „სა“ პრეფიქსით ნაწარმოებით სახელები, „ეთ“ სუფიქსი კი ქართულ გეოგრაფიულ სახელებში საკმაოდ გავრცელებულია. ტერმინი „ზურგი“ შეიძლება ნიშნავდეს, როგორც მთის, ბორცვის, ისევ ორი მდინარის „ხერთვისს“ ასე თუ ისე სახელწოდება „ო-ზურგ-ეთ-ი“ ქართული წარმოშობისაა და საზურგეთს ნიშნავს.“ (სრულიად საქართველოს გაზეთი „რაეო,“ №10, 2010 წელი)

მოსე ჯანაშვილი და თედო სახოკია ოზურგეთს ზანური (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის სიტყვად მიიჩნევდნენ და ასე განმარტავდნენ „საზურგეთი.“ ცნობილია, რომ ქართულ „სა“ თავსართს მეგრულში ოშეესაბამება, მაგ. „სასიმინდე“ მეგრულად არის "ოსიმინდე", საბუდე, „საბუდარი“-„ობუდე“, „საწვეთო“, „ოჭვათო“ და სხვა.

პროფესორი იუსტინე აბულაძე ამ საკითხისადმი მიძღვნილ საგანგებო ნაშრომში, რომელიც 1939 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების 10 ტომში დაიბეჭდა (გვ. 279-281) უარყოფს მ. ჯანაშვილისა და თედო სახოკიასებურ ახსნას და „ოზურგეთს“ ასე განმარტავს: „ცეცხლის სახლი.“ მისი აზრით, სიტყვის პირველი ნაწილი "ოზურ" არის არაბიზირებული. სპარსული სიტყვაა "ააზურ" რომელშიც დახურული "ა" გამოითქმის, როგორც "ო" და ნიშნავს "ცეცხლს", ხოლო მეორე ნაწილი სპარსულივე „ქედ“ ანუ "ქედე" აღნიშნავს „სახლს,“ ასეთიაო, წერს იგი სპარსულივე „ათაშქედ,“ ქართულად „ცეცხლის სახლი,“ „მეიქედ“-„ღვინის სახლი“, „სამიკიტნო“ და სხვა.



ოზურგეთი, ხელი ექადიიდან დიმიტრი ერმაკოვის ფოტო

მეცნიერის ვარაუდით, უძველეს ხანაში ცეცხლთაყვანისმცემლობის დროს, ოზურგეთი უნდა ყოფილიყო საკერპო ადგილი, სადაც ღვთაებად მიჩნეული ცეცხლი ენთო, აქედან წარმოდგა მისი სახელიო. ამგვარივე წარმოშობის ტოპონიმად თვლის იგი მცხეთასთან ახლო მდებარე ბაბოთსა და ბაგინეთს.

თენგიზ კუნჭულია წიგნში „ქალაქი და

გვ-8

საგეოგრაფიო სახელი ოზურგეთი



ოზურგეთი მე-20 საუკუნის დასაწყისში

თენგიზ კუნჭულია წიგნში „ქალაქი და ტრადიციები,“ აღნიშნავს, რომ „ოზურგეთი, როგორც გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება, გამომდინარეობს მისი რელიეფური მდებარეობიდან და იგი ნიშნავს ორ ზურგ შორის მდებარე ტერიტორიას. ჩრდილოეთით ასეთი ზურგი არის მოიდანახე, ხოლო სამხრეთით კი სერის გორაკები, რაც შემდეგ ოზურგეთათ ჩამოყალიბდა" (თ. კუნჭულია „ქალაქი და ტრადიციები,“ ოზურგეთი, 1999 წ. გვ. 2)

ამ მოსაზრებას ამტკიცებს თედო სახოკია: „ოზურგეთს მთაგორიანი მდებარეობა აქვს, აქ ისეთ წერტილს ვერ ნახავთ, რომ იქედან შეიძლებოდეს ქალაქს მიმოავლო თვალი. სამხრეთ დასავლეთით მოსჩანს აჭარა-გურიის მთა, მდიდარი ტყეებით შემოსილი, ჩრდილოეთით კავკასიის ქედი. დასავლეთიდან აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ მთაგორები იწყება, აჭარის მთებამდე. ამბობენ, ოსმალოს ჯარი ძველ დროში ოზურგეთამდე თუ მოატანდა, ამას იქეთ კი სიარული აღარ შეეძლო, რადგან გურულებს ამ ადგილას ზურგი ყოველთვის მაგრად ჰქონდაო, მტერი ვერას აკლებდაო. ამ ნაამბობის შემდეგ უფრო საფუძველი ეძლევა მეგრულ სახელწოდებას ამ ქალაქისას, პრეფიქსი „ო“ უდრის ქართულ „სა-ს“, მაგ. სასიმინდე ო-სიმინდე, ო-შურეთი-სასულეთი (საქიო) და სხვა. ო-ზურგეთი იგივე საზურგეთია. ამ აზრისაა ოზურგეთის სახელწოდების შესახებ ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილიც.“ (თ. სახოკია, „მოგზაურობანი,“ 1985 წ. გვ. 26)

სახელწოდება ოზურგეთის წარმომავლობის შესახებ საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა გამოჩენილმა ირანისტმა, პროფესორმა დავით კობიძემ თბილისის უნივერსიტეტის საგამოცემო საგაზეთო სტატიაში.

ადრინდელ ცნობებს ამდიდრებს ამ ბოლო დროს ოზურგეთის სვანური წარმოშობის ვერსია, რომელსაც ავითარებს პროფესორი იური სიხარულიძე, რომელსაც მიაჩნია, რომ ოზურგეთი ქართველური (სვანური) წარმოშობის საგეოგრაფიო სახელია. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ისტორიული რეალობა, რომელმაც ჩვენდა საბედნიეროდ შემოგვინახა საგეოგრაფიო სახელი ოზურგეთი. ამ სახელწოდების ძირია სვანური "ზუგი," რომელიც არამარტო ოზურგეთის, არამედ ზუგდიდის ფუძეშიაც არის შემონახული. ასევე მთის სახელი "ბახი" (აჭარა-გურიის ჩრდილოეთ კალთაზე ბახვის წყლის სათავეში) აგარაკი „ბახმარო.“ „ბახ“-ნიშნავს გადასასვლელს, ხოლო „მარო“ არის ტერმინი კაცის სვანური შესატყვისის „მარეს“ სახენაცვალი ფორმა.“ (იური სიხარულიძე, „აგარაკ ბახმაროს ისტორიიდან,“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა მესამე სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ. 1952 წ. გვ. 40)

რომაული აბანოების ნაშთები ქ. ოზურგეთში

გარდა იმისა, რომ ეს უძველესი სიტყვა „ოზურგეთი“ დაცულია ამ ტერიტორიაზე, მის ისტორიულ საფუძველს ამყარებს სხვა მისი მსგავსი საგეოგრაფიო სახელთა სიმრავლე მაგ: „გვაბრათი,“ (სოფ. ასკანის თემში) „ექადია“, „კახური,“ სვანური წარმოშობის სიტყვებია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გურიის მთავრები, ერისთავები (ვარდანიძეები) სვანური წარმომავლობის ქართველი ფეოდალები გახლდნენ.

პროფესორი იური სიხარულიძის აზრით, უძველესი დასახლება მდინარე ბჟუჟის სანაპიროზე უნდა ყოფილიყო: „ქალაქი ოზურგეთს წინაპარი მდინარე ბჟუჟის მარჯვენა სანაპიროზე გაწოლილი სერია, სადაც მამამთავრული სახლის ნაშთებია გამოვლენილი. ამ უძველეს საცხოვრისს შემდეგ დაბური დასახლება მოჰყვა, რომელიც მოგვიანებით მცირე ქალაქად იქცა, ხოლო შემდეგ (XV ს.) გურიის სამთავროს პოლიტიკურ ცენტრად, სადაც, იყო სასახლე დიდ შენი და კეთილ პალატოვანი გურიელისა და როგორც ქალაქს შეეფერებოდა იქვე სახლობდნენ „ვაჭარნი სომეხ-ურიანნი.“ (იური სიხარულიძე, „გურია,“ „მეგზური.“ 2005 წ. გვ. 8).

გვიან შუა საუკუნეების ხანაში, ოზურგეთი გურიის სამთავროს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი და კულტურულ საგანმანათლებლო კერაც იყო. გურიელების სასახლეში ამრავლებდნენ ხელნაწერებს, ამზადებდნენ ახალ ნუსხებს. აქ შექმნილი ხელნაწერებიდან აღსანიშნავია XVII საუკუნის ნუსხები დავითნი (- - 75), კურთხევანი (- 246), თთუენი (- 1483) და სხვა.

ოზურგეთის დაარსებისა და მისი საქალაქო ცხოვრების პერიოდზე, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აბანოთა ნაშთები, რომელიც აღმოჩნდა 1957 წელს ქალაქის ცენტრში, თეატრალურ მოედანზე. არქეოლოგ ნინო ხოშტარიას აზრით: „არ არის გამორიცხული, რომ ეს აბანო გვიან ანტიკური ხანის ან ადრე ფეოდალური ხანის იყოს, როგორც ახლო მდებარე ვაშნარის ნაქალაქარი.“ (გაზ. „ლენინის დროშა,“ 1957 წელი). ეს მოსაზრება შარშან გაზაფხულზე კვლავ დადასტურდა იუსტიციის სახლის მიმდებარედ აბანოების ნაშთების გათხრებისას, რომლის სრულყოფილი კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ჩვენი ქალაქის დაარსების დაახლობითი თარიღი.

ასე გვესახება ჯერჯერობით ოზურგეთის სახელწოდების წარმოშობის საკითხი.



◄ რომაულ აბანოში ბანაობა ხუთ სხვადასხვა სტადიას მოიცავდა, რაც აბანოს შენობის სხვადასხვა ადგილას ხდებოდა

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი.

ოდესმე გულით იტყვიან? – პირიქით გმადლობთ თქვენ!

ნინო ნიკოლაიშვილი

რედაქციაში ასაკოვანი ქალბატონი მოვიდა, თავისი გასაჭირის მოყოლა დაიწყო. ამ პერიოდში ათასი მადლობა თქვა კონკრეტული საჯარო მოხელის მისამართით. — ისეთი ყურადღება მომაქცია, აუცილებლად უნდა ვცე პატივიო — დაამატა.

მეორე ფაქტი, რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი სოფლიდან მოვდიოდი. მიკროავტობუსში ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა. დაახლოებით 65 წლამდე ასაკის ქალბატონი ფეხზე წამოდგა, მობრძანდი ნენა დაჯექიო — გულითადად მიიპატიჟა თავის სკამთან. მართალია მამაკაცი არ დამჯდარა, მაგრამ სახეზე ნამდვილად დაეტყო მედიდური თვითკმაყოფილება. როგორც შემდეგ გავიგე, სოფლის რწმუნებული აღმოჩნდა.

ვიხსენებ ერთი ქალბატონის საუბარსაც. მას რამდენიმე თვის პენსია სესხად აეღო, საკმაოდ დიდი თანხაც დაეტოვებინა პროცენტის სახით (თითქმის ერთი თვის პენსია). ისე ადვილად მომცეს სესხი, ამას როგორ შევირჩენ, იმ გოგოს აუცილებლად ვუყიდი რამეს. ახლა აღარ მქონდა, რაც ავიღე ყველა მევალესთვის უნდა მიმეცაო — დაამატა მანაც.

ერთ-ერთ საჯარაო დაწესებულებაში, დაწესებულების ხელმძღვანელი ათას მადლობას „სწირავდა“ ჩინოვნიკს, კონკრეტულ ნივთზე მიუთითებდა ხალხის გასაგონად —შენი შეძენილიაო

ასეთ საუბრებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაიგონებთ. გაიგონებთ სამსახურებში მყოფთა სიამაყით ნათქვამ სიტყვებს, ჩვენთან მოსულ ადამიანებს ვეფერებით, ბოლომდე ვუსმენთ, ყურადღებას ვაქცევთო.

ზოგჯერ არც მიკვირს. ადამიანებს ხშირად ენატრებათ ადამიანური მოპყრობა, ქუჩაშიც ვეღარ ნახავ მომღიმარ სახეებს. ყველა თავისი პრობლემითაა დამძიმებული და ხშირად ცდილობს მსმენელის შოვნას, ადვილი არ არის თუნდაც მოსმენა, მაგრამ...

ოდესმე გულით იტყვიან — პირიქით, გმადლობთ თქვენ?!

მადლიერების გამოხატვა ერთი საუკეთესო ღირსებათაგანია ადამიანთათვის, ეს სხვა მხარეა.

თუმცა ამ ყველაფრის ფონზე, მათხოვარს ათთეთრიანი რომ ჩავუდე ხელში, რატომ მეტი არაო - აგრესიით შემომხედა.

ერმა ჩემმა მეგობარმა ერთი გავრცელებული გამოთქმა გაიმეორა და ასე ახსნა მისი ურთიერთობები სხვასთან— მთავარია ჩემ თავთან ვიყო მართალიო. გვიფიქრია? რამდენი თავია, იმდენია „სიმართლე“? ან შევძლებთ იმ სიმაღლეზე ასვლას, საიდანაც ნათლად და მკაფიოდ ჩანს — მთავარია სიმართლესთან იყო მართალი!

ექადიის გორაკზე ტაძრის მშენებლობა სრულდება

ნუგზარ ასათიანი

„ოზურგეთიდან რომ სამხრეთ-დასავლეთით გახედავთ, შენიშნავთ მაღალ გორაკიდან გადმომცქერალ წმ. გიორგის ეკლესიას. ეს ეკლესია ახალია და ქვისაა. სივრცით იგი მეტია წინანდელ ეკლესიაზედ. გორაკს, რომელზედაც ეს ეკლესია არის აგებული, სამხრეთიდან ქვის კიბე აქვს მიშენებული, რომელსაც პირდაპირ ეკლესიის გალავანში მიჰყევხარ. გალავანი ქვიტკირისა არის. ეს ახალი ეკლესია ააგო თავისის დაუღალავი მხნეობით, შრომითა და მეცადინეობით ადგილობრივმა მღვდელმა მამა სოლომონ დუმბაძემ.

... თვით ექადიელები ძალიან მადლიერები არიან თავიანთი მღვდლისა და დიდ პატივს სცემენ საერთოდ.“–წერდა გაზეთი „ივერია“1897 წელს.

ექადიის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია გასული საუკუნის 30-იან წლებში დაანგრიეს სოფლის ბოლშევიკ-აქტივისტებმა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ეროვნული ცნობიერების გაღვიძებას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ტაძრების მშენებლობა მოჰყვა, თუმცა პირველ ეტაპზე ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა. 1992 წელს შეიქმნა ექადიის წმ. გიორგის ეკლესიის აღდგენის საინიციატივო ჯგუფი. ამ კეთილი საქმისთვის მოწოდებულნი იყვნენ მღვდელი მამა შიო (მენაბდე), არქიმანდრიტი მამა ნიკოლოზი (ღლონტი). მათ მხარში ედგა დეკანოზი ბესარიონი (მენაბდე), რომელმაც საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ცენტრში შექმნა ამ ტაძრის აღდგენის პროექტი და საერო პირები გიზო მიქაძე, ავთანდილ ლომაძე, ბიძინა სალუქვაძე. ძეგლთა დაცვის სამმართველოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გივი გორგოშიძემ ითავა გამოეყო

ტაძრის მშენებლობისათვის საჭირო თანხის ნახევარი და მათ სპეციალისტებს აღედგინათ ტაძარი, ხოლო დანარჩენ თანხას ძმები ჩხარტიშვილები და ზაზა სიორიძე კისრულობდნენ.

დაიწყო სამუშაოები. მშენებლობას სათავეში ინჟინერ-არქიტექტორი ზურაბ გუჯაბიძე ჩაუდგა. დაინგრა კედლები, ეკლესიის ტერიტორიიდან გადატანილი იქნა მიცვალებულების საფლავები, გამაგრდა საძირკველი. ძველ ტაძარს დაემატა სამკვეთლო და სადიაკვნე. მშენებლობა ძველი მეთოდით ტარდებოდა. ყველაფერი კეთდებოდა კირით, არ გამოუყენებიათ რკინა-ბეტონი.

ამ მშენებლობის პროცესში საქართველოში რთული მოვლენები განვითარდა და უსახსრობის გამო მშენებლობა შეჩერდა.

ადრე, როდესაც დიდი ტაძრის აგებას აპირებდნენ, იქვე აშენებდნენ ხის მცირე ეკლესიას, (თავის დროზე ასე იყო სვეტიცხოველის აგებისას). ამ პერიოდში შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად მამა იოსები (კიკვაძე) დაინიშნა. მან თავისი მოღვაწეობის დაწყებისას, შემოდგომის პირს, ჯვართამაღლების დღეს ექადიის გორაკზე წმ. გიორგის ეკლესიის გვერდით აკურთხა ადგილი ჯვართამაღლების ხის ეკლესიის ასაგებად. ოზურგეთელი ბიზნესმენების თანადგომით ზურაბ გუჯაბიძის ბრიგადამ მშენებლობა დაიწყო. მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო ექადიელმა ბიზნესმენმა ილია მორჩილაძემ. მშენებლობაში მონაწილეობდნენ ექადიელი ახალგაზრდები.

აიგო ხის ტაძარი და დარეკა ზარმა.

დადგა ჟამი დიდი მშენებლობებისა. გურიის ეპარქიაში, ისე როგორც სრულიად საქართველოში ფართოდ გაიშალა ეკლესია-მონასტრების აღდგენა-მშენებლობის პროცესი.

გავიდა ხანი და უფლის წყალობით და კეთილი ადამიანის ძალისხმევით, ოთხი წლის წინ დაიწყო ძველი ტაძრის ფუძეზე ახლის მშენებლობა. უკრაინაში მოღვაწე ექადიელმა ბიზნესმენმა მერაბ კონტრიძემ ითავა ტაძრის მშენებლობის დაფინანსება. მშენებლობას კვლავ ზურაბ გუჯაბიძე უდგას სათავეში. მშენებლობა რთულ პირობებში მიმდინარეობს. ქვემოდან საბაგირო გზით ააქვთ სამშენებლო მასალები. ტაძრის პერანგი მასიური ქვისგან კეთდება. იყენებენ ქუთაისის (ეკლარის) კირქვას. ტაძრის სიმაღლე 21,5 მეტრი იქნება. მშენებლები ახლა გუმბათს აგებენ. გუმბათის აგების შემდეგ ტაძარში შიგა სამუშაოები დაიწყება.

დღესასწაულებზე მშენებარე ტაძარში პარაკლისს ატარებს მამა ნოე.

უფლის წყალობით და მშენებლების მონდომებით მალე ექადიის გორაკზე კიდევ ერთ ტაძარში დარეკავს ეკლესიის ზარი.

სამოქალაქო აეროპორტი მერიაში

ნუგზარ ასათიანი

ახალი საჰაერო გზა
მახარაძე–თბილისი

1962 წლის 1 სექტემბერი ახალი, კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენით აღინიშნა მახარაძელი მშრომელებისათვის, ასრულდა მათი ნატვრა, დაინიშნა სამგზავრო თვითმფრინავი — მახარაძე-თბილისი.

პირველ დღეს მაინც განსაკუთრებული შნო და ლაზათი ახლავს. აეროდრომზე მრავალი ადამიანი შეიკრიბა პირველი სამგზავრო თვითმფრინავის მისაღებად, პირველი მგზავრების გასაცილებლად.

კოხტად გამოიყურება პატარა აეროპორტი. მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში სისუფთავეა. ისვენებენ, ათვალიერებენ ჟურნალ-გაზეთებს.

პირველი თვითმფრინავის მისაღებად ჩამოვიდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის უფროსი გენერალი ლ. გოლიაძე. იგი დინჯად ესაუბრება სამგზავრო აეროპორტის უფროსს გ. დოლიძეს და მომსახურე პერსონალს. აძლევს განმარტებებს, შენიშვნებს ჯერ კიდევ ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხის გარშემო. აქვე არიან მახარაძის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები.

...10 საათსა და 45 წუთზე თვითმფრინავიც გამოჩნდა. მან რკალი შემოხაზა ჰაერში და დაეშვა. ერთხანს თავაწყვეტით გაიქროლა ბილიკზე, მერე სვლას თანდათან უკლო და ნელა მოადგა მოედანს. პილოტებმა კაბინები დატოვეს. — ამხანაგო გენერალო, — უპატაკა თვითმფრინავის რაზმის უფროსმა ე. მატვეევმა, — სამგზავრო თვითმფრინავი „ილ-14“ მოვიდა დანიშნულების ადგილზე.

ტრაპს ჩამოყვნენ ხომალდის უფროსი ე. ლევიცკი, რადისტები რ. წულაია, გ. აკოპიანცი და სტიუარდესა (თვითმფრინავის გამცილებელი) გ. ასატუროვა. მოეწყო პირველი გაცნობა მოსულელებსა და დამხვდურებს შორის.

„ილ-14“ 28 მგზავრისათვისაა. მისი საერთო წონა ტვირთიანად 17,5 ტონაა, საათში ავითარებს 300 კილომეტრს. თბილისამდე მანძილს ფარავს 1 საათსა და 15 წუთში.

მოახლოვდა გაფრენის დრო. თვითმფრინავში ადიან და თავიანთ ადგილებს იკავებენ პირველი მგზავრები.

სრულ 11 საათსა და 15 წუთზე სამგზავრო ხომალდი მიწას მოწყდა და თბილისისაკენ აიღო კურსი...

თვითმფრინავი—მახარაძე-თბილისი იფრენს ყოველდღე. იგი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ვ. ბანუჩარაძე.

CCCP-52002

ზემოთ: (მარჯვნიდან) საქართველოს სამოქალაქო [illegible] უფროსი, გენერალი ლ. გოლიაძე, ვ. მატვეევი, [illegible]. ე. ლევიცკი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: პირველი მგზავრები ადიან თვითმფრინავზე და გზას ულოცავენ გამცილებლები.

ფოტოები ა. ამოლაძისა.

1962 წელს ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ოზურგეთის (იმჟამინდელი მახარაძის) ცხოვრებაში. გაზაფხულზე დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობა შევიდა ექსპლოატაციაში, შემოდგომის დასაწყისში სამგზავრო თვითმფრინავი ოზურგეთი-თბილისი დაინიშნა, ნოემბრის დასწყისში ქართველი პოეტი გოგლა ლეონიძე ესტუმრა გურიას. ამ წლის მნიშვნელოვან მოვლენა ოზურგეთელთათვის ცნობილი ბალეტმეისტერის ჯორჯ ბალანჩინის სტუმრობაც გახლდათ, მაგრამ ეს სტუმრობა ჟურნალისტებისაგან და საზოგადოებისაგან დაფარულად შედგა.

ამ წელს გაზეთი „ლენინის დროშა“ სარაიონთაშორისო გაზეთი გახდა და მასში თავი მოიყარეს რეგიონის საუკეთესო ჟურნალისტებმა.

„ახალი საჰაერო გზა: მახარაძე-თბილისი“ წერდა თავის რეპორტაჟში ჟურნალისტი ვაჟა ჭანუყვაძე ამ გაზეთის 4 სექტემბრის ნომერში:

„1962 წლის 1 სექტემბერი ახალი, კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენით აღინიშნა მახარაძელი მშრომელებისათვის. ასრულდა მათი ნატვრა. დაინიშნა სამგზავრო თვითმფრინავი — მახარაძე-თბილისი.

პირველ დღეს მაინც განსაკუთრებული შნო და ლაზათი ახლავს. აეროდრომზე მრავალი ადამიანი შეიკრიბა პირველი სამგზავრო თვითმფრინავის მისაღებად, პირველი მგზავრების გასაცილებლად. კოხტად გამოიყურება პატარა აეროპორტი. მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში სისუფთავეა. ისვენებენ, ათვალიერებენ ჟურნალ-გაზეთებს.

პირველი თვითმფრინავის მისაღებად ჩამოვიდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის უფროსი, გენერალი ლ. გოლიაძე. იგი დინჯად ესაუბრება სამგზავრო აეროპორტის უფროსს გ. დოლიძეს და მომსახურე პერსონალს. აძლევს განმარტებებს, შენიშვნებს ჯერ კიდევ ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხის გარშემო...

...10 საათსა და 45 წუთზე თვითმფრინავიც გამოჩნდა. მან რკალი შემოხაზა ჰაერში და დაეშვა. ერთხანს თავაწყვეტით გაიქროლა ბილიკზე, მერე სვლას თანდათან უკლო და ნელ-ნელა მოდგა მოედანს. პილოტებმა კაბინები დატოვეს. —ამხანაგო გენერალო,— უპატაკა თვითმფრინავის რაზმის უფროსმა ე. მატვეევმა,— სამგზავრო თვითმფრინავი „ილ-14“მოვიდა დანიშნულების ადგილზე.

... „ილ-14“ 28 მგზავრისთვისაა. მისი საერთო წონა ტვირთიანად 17,5 ტონაა, საათში ავითარებს 300 კილომეტრს. თბილისამდე მანძილს ფარავს 1 საათსა და 15 წუთში.

მოახლოვდა გაფრენის დრო. თვითმფრინავში ადიან და ადგილს იკავებენ პირველი მგზავრები.

სრულ 11 საათსა და 15 წუთზე სამგზავრო ხომალდი მიწას მოწყდა და თბილისისაკენ აიღო კურსი...

თვითმფრინავი — მახარაძე-თბილისი იფრენს ყოველდღე. იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია“

მერიის სამგზავრო აეროპორტმა ორიოდე წელი იმუშავა. შემდეგ რეისები შეწყდა.

1992 წელს ოზურგეთელმა ბიზნესმენებმა ავიასაწარმო „გურია“დააარსეს. ავიასაწარმოს დირექტორად ფირმა „ბახმაროს“ დირექტორი, გამოცდილი ბიზნესმენი **მანუჩარ მამეიშვილი** აირჩიეს. ამ დროისთვის რეგიონი სატრანსპორტო ჩიხში იყო მოქცეული და გამოსავალს მერიის აეროპორტის ამოქმედებაში ხედავდნენ. აეროპორტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში ძირითადად ტვირთბრუვა ჰქონდათ და აქედან თვეში 2000 ტონა ტვირთის გადატანას გეგმავდნენ. ამ იდეას ჰქონდა ხელისშემშლელი მიზეზები, რის გამოც აეროპორტმა 1995 წლამდე ვერ შეძლო ამოქმედება.

„21 მაისი მნიშვნელოვანი დღე გახდა გურიის რეგიონის ცხოვრებაში. საზეიმოდ გაიხსნა სამგზავრო-სატვირთო აეროპორტი. ამ მხარის ისტორიაში პირველი სამოქალაქო რეისი შესრულდა ოზურგეთი-მოსკოვის მიმართულებით.“–წერდა გაზეთი **„ბიზნეს-კურიერი“** 1995 წლის ივნისში (ავტ. ნ. ასათიანი).

ოზურგეთი-მოსკოვის რესიებს ავიაკომპანია „გაკო-კავკასიის“თვითმფრინავი ტუ-134 ასრულებდა. იგეგმებოდა „იაკ-42“მარკის თვითმფრინავებით ფრენა ანაპის, არმავირის და ვოლგოგრადის მიმართულებით. ხოლო აეროპორის საერთაშორისოდ გადაკეთების შემდეგ –აზიისა და ევროპის ქვეყნებში.

ამ პერიოდში რამდენიმე რეისი შესრულდა ოზურგეთ-თბილისის მიმართულებითაც, მაგრამ ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ მერიის აეროპორტს არსებობის საშუალება არ მისცა და ოზურგეთელი ბიზნესმენების მიერ დაწყებული კარგი საქმე შეჩერდა.

ბოლო პერიოდში საუბარია მერიის აეროპორტის მესამედ ამოქმედებაზე. ამ აეროპორტს საუკეთესო მდებარეობა აქვს, როგორც შავიზღვისპირა ეკონომიურ ზონასთან სიახლოვით, ისე თვითმფრინავების ფრენის უსაფრთხოების თვალსაზრისითაც.

იოსებ (სოსო) კეჭაყმაძე



კიდევ ერთი ცნობილი ოზურგეთელი წავიდა საწუთროდან. გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი, რუსთაველისა და ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი იოსებ (სოსო) ილიას ძე კეჭაყმაძე.

იგი 1939 წლის 27 მარტს დაიბადა ქ. ოზურგეთში. მუსიკალური ტრადიციები თავიდანვე მოსდევდა მის ოჯახს. ბაბუა–ივლიანე კეჭაყმაძე გურული სიმღერების ცნობილი შემსრულებელი იყო. მამა–ილია კეჭაყმაძე, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. მათი მუსიკალური ოჯახის დედა–ელიჩქა, ვარლამ სიმონიშვილის ცნობილ გუნდში მღეროდა. თავად ოზურგეთის მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა და რაიონული კულტურის სახლთან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრი იყო, რომელსაც ცნობილი მომღერალი ვლადიმერ ერქომაიშვილი ედგა სათავეში. ამ წლებში კონსერვატორიის სტუდენტი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ხელოვნების სახლებში ძირითადად კონცერტმეისტერად მუშაობდა. 1957 წელს მან მოამზადა ოზურგეთის სიმღერის ანსამბლი მოსკოვში, მსოფლიო ფესტივალზე გასამგზავრებლად.

იოსებ კეჭაყმაძემ დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის კლასი (პედ. ი. ტუსკია, დ. თორაძე).

1966-74 წლებში მას ეკავა სხვადასხვა თანამდებობა (კონსულტანტი, უფროსი კონსულტანტი, სამხ. ხელმძღვანელი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე) საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

1968 წლიდან იგი პედაგოგად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 1982 წლიდან საგუნდო-სადირიჟორო კათედრის ხელმძღვანელი, კონსერვატორიის პროფესორი იყო.

1972 წლიდან იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, გარკვეული წლები საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.

სოსო კეჭაყმაძის შემოქმედებაში საორკესტრო, ვოკალურ-სიმფონიურ და სხვა ჟანრებს შორის უპირატესი ადგილი საგუნდო მუსიკას ეთმობოდა. იგი ქართული საგუნდო მუსიკის კლასიკოსად იყო მიჩნეული. მის შემოქმედებას საერთაშორისო აღიარება ჰქონდა მოპოვებული. იგი იყო შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის, ბათუმის სახელმწიფო თეატრებში რამდენიმე მნიშვნელოვანი სპექტაკლის მუსიკის ავტორი. ასევე მან მუსიკალურად რამდენიმე ფილმი გააფორმა.

იოსებ კეჭაყმაძეს ეკუთვნოდა ზაქარია ფალიაშვილის „დიდების“ საჰიმნო ვარიანტი, რაც დღეს საქართველოს ჰიმნია.

„მისი საგუნდო ნაწარმოებები და საგალობლები შედევრადაა მიჩნეული. იოსებ კეჭაყმაძემ სხვა ჟღერადობა შესძინა ფალიაშვილის უკვდავ ჰანგებს, ჰიმნად აქცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქემ გაითავისა და შეიყვარა. “–ასე შეაფასა აწ. გარდაცვლილი კომპოზიტორის შემოქმედება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენი ქალაქის ცნობილი ადამიანების კრებულს გამოაკლდა მისი ძმა–იურისტი რევაზ კეჭაყმაძე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა,

ფოტო ვიდეო სალითი „მასი“

რომელიც მდებარეობს ქალაქის ეკლესიის კინოს მიმდებარე ტერიტორიაზე

ფოტო ვიდეო გადაღებას კომპიუტერული მონტაჟით, ქორწილებში, დაბადების დღეებზე და ნებისმიერი ღონისძიებებზე, კინოები,კლიპები, მუსიკა, კარაოკე, თქვენი შერჩევით. სურათების დაბეჭდვა ფირიდან, დისკიდან, ჩიპიდან, ფლეშკიდან.ჩარჩოები ნებისმიერიზომის, ბრელოკები, ლამინირება.კასეტიდან დისკზე ჩაწერა, გამოშვების ალბომებს.

გვეწვიეთ და ნაჩუქარად ქეაყოფილი დარჩებით

.ტ: 551 76 76 32; 593 35 44 51; 090 35 44 51 (მასი)

სს „საქართველოს ბანკი "

აცხადებს ვაკანსიას სერვის-ცენტრის მენეჯერის პოზიციაზე ოზურგეთში.

ძირითადი მოვალეობები

გაყიდვების ზრდის ხელშეწყობა,ახალი მომხმარებლების მოზიდვა;

სერვისცენტრის არსებული და პოტენციური მომხმარებლებისათვის ოპტიმალური საბანკო მომსახურების შეთავაზება;

რეგიონის ბაზრის მუდმივი ანალიზი, მონიტორინგი, გაყიდვების ზრდის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, შესრულების კონტროლი;

მომსახურების ხარისხის (დადგენილი სტანდარტები და წესები) კონტროლი, ხარისხის ამაღლების შესაძლებლობების სისტემატური ანალიზი;

დაქვემდებარებული პერსონალის მართვა, კოორდინაცია, კონტროლი და განვითარება;

საოპერაციო მომსახურების განვითარების შესაძლებლობების ანალიზი,შესაბამისი წინადადებების მომზადება, დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება;

სერვისცენტრის ყოველდღიური საქმიანობის მართვა, საბანკო დოკუმენტაციის ადმინისტრირება, დადგენილ პროცედურებთან/წესებთან შესაბამისობის მონიტორინგი.

სავადლებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება:

უმაღლესი-ეკონომიკა/ფინანსები/საბანკო საქმე/ბიზნესის ადმინისტრირება/აუდიტი.

სამუშაო გამოცდილება:

საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის მინ.3-წლიანი გამოცდილება,მათ შორის,მინ. 2 წელი მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

აუცილებელი ცოდნა და უნარები

მენეჯმენტი, მარკეტინგი და გაყიდვები;

ბიზნესკომუნიკაცია, გაყიდვების ტექნიკა;

საბანკო პროდუქტები, მომსახურება და პროცედურები;

ბიზნესსაქმიანობის ზოგადი პრინციპები;

მომსახურების სტანდარტები;

დებულებები კომერციული და ეროვნული ბანკების საქმიანობის შესახებ;

კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;

ენების ცოდნა: სასურველია, მაგრამ არასავალდებულო, რუსული და ინგლისური ენების ცოდნა;

მომხმარებლების მომსახურების უნარ-ჩვევები (თავაზიანობა, მომხმარებლების დახმარების მზაობისა და ყურადღების გამოხატვა, სწორი გადამისამართება, შეცდომების გამოსწორება)

დაქვემდებარებული პერსონალის ეფექტურად მართვის უნარყ-გუნდური სამუშაო გარემოს შექმნისა და პერსონალის მოტივაციის უნარი;

ეფექტური კომუნიკაციური უნარი: წერით და ზეპირად აზრის არგუმენტირებულად და ცხადად გამოხატვა;

გაყიდვების, მოლაპარაკების წარმოების უნარი;

პროფესიული მიმოწერისა და ანგარიშგების წარმოების კარგად განვითარებული უნარები;

სამუშაო ამოცანების სწორად გადანაწილებისა და მათი შესრულების კონტროლის უნარი;

დაგეგმვისა და სამუშაოს დროულად შესრულების უნარი;

ინიციატივა, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება, ორგანიზებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, ლიდერობა,გუნდური მუშაობა,პრობლემის აღმოჩენის და დროულად გადაჭრის უნარი, ემოციური წონასწორობა;

რეზიუმე ან საქართველოს ბანკის სააპლიკაციო ფორმა შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: regionjob@bog.ge

გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება,რომელზეც აგზავნით რეზიუმეს/სააპლიკაციო ფორმას ან დატოვოთ შემდეგ მისამართზე: **ოზურგეთი, გურიის ქ. №18, „საქართველოს ბანკის" ოზურგეთის სერვისცენტრი.**

განცხადების მიღების ბოლო ვადაა 1 აპრილი 2013 წელი.

შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:

სს„საქართველოს ბანკი"

პერსონალის მართვის დეპარტამენტი

პერსონალის დაგეგმვისა და შერჩევის სამსახური

ტელ: +995 32 2444 422

ელფოსტა: **inforecruit@bog.ge**

ნონა მამულაიშვილი

ოზურგეთში სერის უბანში მესამე წელია ცხოვრობს ერთი პატარა ლამაზი ოჯახი, რომელსაც ხელოვანთა ოჯახს ეძახდნენ. იგი წევრისაგან შედგებოდა. მეუღლეები ნონა და რეზო, შვილი ბექა ჩიკაშუები, რომლებიც თავიანთი ქცევით, საქმიანობითა და მათთან ურთიერთობით ალამაზებენ კუთხეს. უსაშველოდ შეუყვარდათ მეზობლებს. სამწუხაროდ, ამ სამეულს გამოაკლდა ქალბატონი ნონა, რომელსაც განსაკუთრებულად უყვარდა ქალთა დღე. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის სახლში მიიწვევდა მეგობრებს და გამორჩეულად აღნიშნავდა მას და სწორედ გაზაფხულივით ლამაზ დედისა და ქალთა დღეს –8 მარტს დასრულდა მისი ლამაზი სიცოცხლეც. ჩვენს საზოგადოებას გამოაკლდა მართლაც იშვიათი, ლამაზი, განუმეორებელი დედა, მოსიყვარულე მეუღლე, კარგი ოჯახის მოსიყვარულე შვილი ნონა მამულაიშვილი, რომელიც გაზაფხულივით ალამაზებდა ამშვენებდა ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ქალაქს. იგი ლამაზი იყო არამარტო გარეგნული შესახედაობით, არამედ შინაგანი სულიერი სამყაროთი –სითბოთი, სიკეთის თესვით. სულ იმის ცდაში იყო, პატივი ეცა ნაცნობ-მეგობრებისათვის და დიდი სიყვარულით ახერხებდა ამას.

მეამყება, რომ ნონა ჩემი მოსწავლე იყო. ქალბატონ ლილი და ბატონ ამირან მამულაიშვილის ოჯახში აღზრდილი შვილი არც შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო. თავიდანვე გამოირჩეოდა წარჩინებული სწავლითა და ორგანიზატორული ნიჭით, იყო კლასის ნამდვილი ლიდერი, მოსწავლეთა წინამძღოლი, იმ ასაკშიც კი მასწავლებელთა დონეზე რჩევის მიმცემი, დამრიგებელი იყო.

ქალბატონმა ნონა მამულაიშვილმა 1973 წელს წარჩინებით დაამთავრა სოფ. ოზურგეთის საშუალო სკოლა, ხოლო 1980 წელს ასევე წარჩინებით– საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი. გარკვეულ პერიოდში მუშაობდა კომკავშირის ოზურგეთის რაიკომში– ინსტრუქტორად, 18 წლის მანძილზე იყო ბაილეთის კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის გაერთიანების თავმჯდომარე და კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ნონას ბავშვობიდანვე მომადლებული ჰქონდა თანდაყოლილი მუსიკალური ნიჭი, იყო ბაილეთის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრი –სოლისტი, ამასთან მისი მომხიბვლელი ხმით მღეროდა სოფლის „ტრიოშიც“(როინ თევდორაძე, ნონა მამულაიშვილი, ოთარ კიღურაძე), რომელიც სოფლის ძირითად გუნდთან ერთად წარმატებით გამოდიოდა რაიონულ და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

ქალბატონი ნონა, თავის მეუღლე, ასევე მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ რეზოსა და შვილ ბექასთან ერთად ხშირად სტუმრობდა ქორწილებს, რიგ შემთხვევაში უანგაროდაც. ისინი თავიანთი მომხიბვლელი ხმით ატკბობდნენ მსმენელებს. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ იყო ძალიან სტუმართმოყვარე. ოჯახში მიპატიჟებულ სტუმრებს სიმღერით ხვდებოდა, მაგიდასაც სიმღერითა და ცეკვით აწყობდა, რითაც განცვიფრებული რჩებოდნენ ისინი. იგი დაკავებული იყო მცირე საოჯახო ბიზნესითაც და აქაც კმაყოფილი ჰყავდა მომხმარებელი. ქალბატონმა ნონამ დატოვა მისი ერთგული მეუღლე, ერთადერთი ვაჟი –სტუდენტი, რომელსაც ჯერ კიდევ სჭირდებოდა დედის ხელი, 80 წელს გადაცილებული მამა, რომელიც მისი სიცოცხლითა და ცხოვრებით ცხოვრობდა, უსაყვარლესი ძმა, და, ძმისშვილი, დისშვილები, რძალი, სიძე, რომელთაც უსაშველოდ უყვარდათ იგი. დატოვა საზოგადოების უზომო სიყვარული. სწორედ ამიტომ იყო, რომ უამრავმა ადამიანმა ცხარე ცრემლებით გააცილეს იგი.

შესანიშნავი დედის, ღირსეული მეუღლის, ძმის, დის, მეგობრის, მეზობლის, ყველასათვის უსაყვარლესი ქალბატონის, ნონა მამულაიშვილის სახელი მარად დარჩება მათ შორის, ვინც იცნობდა. ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს ჩვენი ნონას უმანკო სული.

გუგული ჩხაიძე.

დავით გიორგაძე

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული გაზეთ „ალიონის“ ფოტოკორესპონდენტად გიგლა გიორგაძე მუშაობდა. კარგი ფოტოხელოვანი, მეგობარი და ლამაზი ოჯახის თავკაცი –ასე იცნობენ მას. სულ არ გაგვკვირვებია, როცა გასული საუკუნის 90-იან წლებში მისმა ვაჟმა, დათომაც „ალიონში“ ფოტოკორესპონდენტად დაიწყო მუშაობა. მას ამ დროისათვის ანასეულის საშუალო სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ხარკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის საგზაო მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლობდა დაუსწრებლად. დათო იმთავითვე საინტერესო მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა. გარდა „ალიონისა,“ აქტიურად თანამშრომლობდა ოზურგეთში, ახალგაზრდა ჟურნალისტთა მიერ დაარსებულ გაზეთ „თვალსაწიერშიც.“ ეროვნული მოძრაობის და იმჟამინდელი არაერთი ლამაზი ღონისძიების ფოტოები იბეჭდებოდა ოზურგეთის გაზეთებში.

შემდეგ ქვეყანაში მომხდარი კატაკლიზმების გამო მისი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა.

მან, 1997 წელს თბილისის ცენტრში დააარსა უნივერსალური ფოტოსტუდია, იგი ამ სტუდიაში მუშაობის პარალელურად თავის შემოქმედებით ფოტონამუშევრებს გამოსაქვეყნებლად აწვდიდა ქვეყნის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს.

აღსანიშნავია, რომ 2002-2003 წლებში განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, განათლების სამინისტრომ ქვეყნის საჯარო სკოლებისათვის მოაწყო სასწავლო მოწყობილობებისა და თვალსაჩინოების გამოფენა - მიწოდების ორგანიზება, რომელსაც წინ უძღოდა განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული განცხადება, რომელიც მეწარმეებს აუწყებდა საკონკურსო გამოფენისათვის წარმოედგინათ სასწავლო მოწყობილობებისა და თვალსაჩინოებების თითო ეგზემპლიარი, იმ პირობით, რომ, თუ მეწარმის მიერ წარდგენილი ნიმუში გაიმარჯვებდა, შემდგომ იგი ნიმუშის მიხედვით ვალდებული უნდა ყოფილიყო დათქმული დროისათვის გამოეშვა საჭირო რაოდენობის პროდუქცია და მიეწოდებინა სამინისტროსათვის.

აღნიშნულ კონკურსში სხვებთან ერთად დათო გიორგაძემაც მიიღო მონაწილეობა. მის მიერ წარდგენილი მრავალი სახისა და რაოდენობის თვალსაჩინოება, როგორიცაა: საქართველოს ისტორიული ძეგლების ფოტოხედები, ქართველი კლასიკოსი მწერლების ფოტოპორტრეტები და მათივე ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსტენდები, აგრეთვე გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების, მათემატიკოსებისა და ფიზიკოსების დასრულებული პორტრეტები. წარდგენილი ნამუშევრები კომისიის მიერ მთლიანად იქნა მოწონებული და აქედან გამომდინარე, განათლების სამინისტროს შესაბამის უწყებასთან გაფორმდა სათანადო შინაარსის ხელშეკრულება, რომელიც თავის დროზე შესრულდა პირნათლად.

დღეისათვის დათოს ნახელავი ნიმუშების მიხედვით გამოშვებული სასწავლო თვალსაჩინოება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის შესაბამის ადგილებზეა განთავსებულ-გამოფენილი.

დათომ გასული წლის 3 მარტს სამუდამოდ დატოვა ყველა, რომელთა შორისაა მისი საუკეთესო მეუღლე მადონა ნოზაძე და 10-11 წლის გოგონები კესო და ელენე.

ახლა მისი მამა–გიგლა დათოს მიერ დაწყებულ საქველმოქმედო პროექტების გაგრძელებაზე ზრუნავს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

დათო გიორგაძის „ალიონელი“ მეგობრები.

თორნიკე მახარაძის მორიგი წარმატება

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 10 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში. რომელშიც გურიის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი, გურიის გასული წლის ჩემპიონი ამავე ასაკში თორნიკე მახარაძე მონაწილეობდა.

ჩემპიონატში ქვეყნის 46-მა რჩეულმა მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც შვეიცარული სისტემით (9ტურად)გააჩაღეს ბრძოლა პირველ ხუთეულში მოხვედრისათვის, რაც მაისში დაგეგმილ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა.

თორნიკემ ამჯერადაც კარგად იასპარეზა და 6,5 ქულით IV ადგილი და საქართველოს ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, რომელიც მაისში გაიმართება თბილისის ჭადრაკის სასახლეში.

მიღწეული უდავოდ კარგი წარმატებაა, თუმცა თორნიკეს მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე ოდნავ უკმაყოფილოა, რადგაც მან აშკარად, ორ მოგებულ პარტიაში 1,5 ქულა დაკარგა, რაც საკმარისი იყო პირველი ადგილისათვის.

თორნიკე ახლა კარგ ფორმაშია და ნამდვილად შესწევს ძალა მაისში კარგად იასპარეზოს ჩემპიონატის ფინალში და ევროპის, ან მსოფლიო პირველობის საგზური მოიპოვოს, სადაც კიდევ წარმატებას ველით.

ზურაბ ანდღულაძე.
გურიის ჭადრაკის ფედერაციის
აღმასრულებელი დირექტორი

იყიდება
ოროთახიანი ბინა
ქ. ოზურგეთში,
გრიბოედოვის ქ. №31-ში.
დამატებითი ინფორმაციისათვის
დარეკეთ: ტელ:
(551) 11 84 72.

უახლოესი მეგობრები: ლალი თავაძე, როზა გოგუაძე, ნაილი გრძელიძე, ელიკო ბურჭულაძე, ანა ნაკაშიძე, დოდო კეჭაყმაძე, თამარ ჩხარტიშვილი, მაია ნიკოლაიშვილი, ლილი პატარავა, თემურ მოქია, გია ხაჭაპურიძე თანაუგრძნობენ კლარა გურგენიძეს უსაყვარლესი დის **მაია გურგენიძის** გარდაცვალების გამო.



უახლოესი მეზობლები იუწყებიან ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილის, ცნობილი კომპოზიტორის, საამაყო ოზურგეთელის **იოსებ (სოსო) კეჭაყმაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ცნობილი კომპოზიტორის, საამაყო ოზურგეთელის **იოსებ (სოსო) კეჭაყმაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ციცო, მურადი პაპავები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის **ნონა მამულაიშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მამიდა ოფელია, მამიდაშვილები: თამარ, ზორბეგ დავითაშვილები ოჯახებით, გამოთქვამენ მწუხარებას და თანაუგრძნობენ ამირან მამულაიშვილის ოჯახს, შვილის **ნონა მამულაიშვილი-ჩიკაშუას** გარდაცვალების გამო.

ქ. ოზურგეთის №1 სკოლის 1972 წლის X-ბ კლასის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ნუნუკა ბერსენაძეს მეუღლის **ჯონი ნაკაიძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ალიონი“ №10 000

ოზურგეთელი ჟურნალისტები სტუმრად სოფ. ნატანებში. 5 მაისი, 1987 წ.

ქ. ოზურგეთის №1 სკოლის მოსწავლეები „ალიონის“ რედაქციაში. 2001 წ.

„ედელვაისის“ წარმატებული ტურნე

ბათუმში გამართულმა ფესტივალ-კონკურსმა „ჩემი ხატია სამშობლო“,მუნიციპალურ კულტურის ცენტრთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტალურ ანსამბლს „ედელვაისს“ კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა.

კონკურსის ორგანიზატორები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუსიკოსთა და ფოლკლორისტთა საზოგადოება და მრავალდარგოვანი ფირმა „ეგრისი“ გახლდათ.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ფოლკლორული ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

„ედელვაისის“ხელმძღვანელის, გიორგი ჩიხლაძის მიერ დადგმულმა შესანიშნავმა ნომერმა „შეჯიბრი“,რომლის პრემიერაც იმ დღეს,სწორედ იმ სცენაზე შედგა,ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა და ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

ვოკალურ- ინსრუმენტალური ანსამბლი „ედლვაისი“ მსმენელს მრავალ სიურპრიზს პირდება.

მამლაყინწა ოზურგეთის საბავშვო თეატრში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო თეატრში მორიგ პრემიერა შედგა. ნორჩ მაყურებლებს ნ. ჯალაღონიას პიესის „ფისუნიას“მიხედვით შექმნილი ერთმოქმედებიანი ზღაპარი „მამლაყინწა“წარმოუდგინეს. სპექტაკლი რეჟისორმა ოთარ კუტალაძემ დადგა. როგორც თეატრის დირექტორმა ლაშა კუტალაძემ გვითხრა, ისინი ახლა მორიგ თოჯინურ სპექტაკლებს ამზადებენ. კ. ფაცურიას „მეფე, პეპელა და ვეზირი,“ „მელიას ოინები“და თ.მეტრეველის „ახალი წელი.“

ვილოცავთ!

„ალიონი“—იგივე განთიადია, განთიადს ჯი ადამიანები იმედით, სიახლის მოლოდინის განცდემით სვდემა. გადაჭარმემული არ იქნემა, თუ ვიტყვი, რომ თითქმის საუკუნეს მიღწეული გაზეთი „ალიონი“იყო და არის იმედის, სიახლის და ჭეშმარიტების მაცნე. მან გაუძლო ჟამთა სვლას, და თავისი სითრიფანა ფურცლემით ზიდა ტვირთი სიბნელისა, რომელიც ასლავს პრესას სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა სიტუაციაში, ამიტომაც შეინარჩუნა თავისი სახე.

„ალიონს“თავიდანვე სათავეში ღირსეული ადამიანები ედგნენ. მათ ტრადიციემს აგრძელემს დღევანდელი „ალიონის“მესვეურნი. ვულოცავ მათ ყველა თანამშრომელს გაზეთის მე-10000 „დღესასწაულს.“

მუდამ მწვანე გზა ენთოს „ალიონს,“მუდამ იმედიანი, სამართლიანი იყოს თქვენი სიტყვა.

გილოცავთ და გისურვემთ მეტ შემართემას დაუსრულემელ არსემობას „ალიონს.“

სულიკო ლომჯარია.

ვულოცავთ!

მარტის თვე ჩემი ოჯახისთვის არაერთი სიხარულის მომტანია. 25 მარტს ჩემი უფროსი შვილის კობა ბაქანიძის (ანსამბლ „იადონის“ მომღერალი) დაბადების დღეა, 27 მარტს ჩემი მეორე შვილიშვილის მამუკა ბაქანიძის დაბადების დღე. მამუკა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის VII კლასის წარმატებული მოსწავლეა. ჯერ კიდევ პატარა, დედის ჯანმრთელობაზე ბრუნვამ ტაძარში მიიყვანა. მისი უფროსი მეგობარია ჩვენი ოჯახის მოძღვარი მამა ბესარიონი. უყვარს სპორტი (რაგბი), მაგრამ ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებას აპირებს წარმატებული სწავლით.

ვულოცავ ჩემს შვილს და შვილიშვილს დაბადების დღეს. ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, ოჯახის ბედნიერებას, სიკეთეს, წარმატბებს ვუსურვებ ცხოვრების გზებზე.

ჯიმა ბაქანიძე.

თამარის დღეს მიეძღვნა

სოფელ მთისპირის კულტურის სახლში 26 მარტს ჩატარებული ლექცია-სემინარი „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, წმიდა თამარ მეფის სახელს მიეძღვნა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეები და სოფლის ახალგაზრდები. თამარ მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა მთისპირის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ოთარ გაგუამ. შეხვედრის მეორე ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ახალგაზრდებმა მათთვის საინტერესო არაერთ კითხვაზე მიიღეს პასუხი.

მაყვალა გაგუა,
სოფელ მთისპირის კულტურის სახლის ხელმძღვანელი.

მადლობა

უშუალობა, თავმდაბლობა, გულისხმიერება, ყურადღება და რაც მთავარია პროფესიონალიზმი, ოპერაცია და დანიშნულება კარგი შედეგით, რომელიც მედ ალფა ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის ქირურგს,ბატომ **ვახტანგ მატარაძეს** და პაციენტს შორის საოცარ ჰარმონიას ქმნის, რისთვისაც უდიდეს პატივისცემას და მადლირებას გამოვხატავთ მის მიმართ.

მსურს მადლიერება გამოვხატო საოპერაციოს მედდის, ქალბატონ ასმაო ენუქიძის და პალატის ექთანის ქალბატონ ლალი ჭყონიას მიმართ.

პატივცემულნო! წარმატებით, სიხარულით ყოფილიყოს დახუნძლული თქვენი ყოველდღიურობა.

გფარავდეთ უფალი.

თქვენი ყოფილი პაციენტის, პატარა საბა დონაძის მშობლები, ნინო და გია.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3. ტელ: 558 499 100; გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18.11. 2004. №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“